

# ვაზ პილანვებლოაშა ააზღუაღაღი აასაქღაბღოჭის აქონა პირაბისტვის საქარტვადლოაი:

ახსებუღი მღგომახეობა და საუკეთესო  
საეხთაშოხისო პიაქღიკა

მოხგენ მეიეჰჰოფ ნიღსენი  
UNU-EGOV





UNITED NATIONS  
UNIVERSITY

**UNU-EGOV**

Operating Unit on Policy-Driven  
Electronic Governance



UN for  
Persons with  
Disabilities  
in Georgia



# **ვებ ბისნესდროშა ხელუდური ხელსაწყოების აქონა პირდაპირი საქართველოში:**

*ახლებული მდგომარეობა და საუკეთესო  
საერთაშორისო პრაქტიკა*

ანგარიში მომზადებულია საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის პოზიციას.

31 მაისი 2021

**დოკუმენტის ნომერი:** RLA 2020/244

**ნარმდგენი:**

გაეროს უნივერსიტეტი

პოლიტიკაზე ორიენტირებული ელექტრონული მმართველობის ოპერაციული

განყოფილება (UNU-EGOV)

კამპუს დე კუროსი, რუა ვილა ფლორი 166

4810-445 გიმარეისი, პორტუგალია

<https://egov.unu.edu/>

# სარჩევი

<b>მიმოხილვა .....</b>	<b>5</b>
<b>1. შესავალი.....</b>	<b>7</b>
1.1. რატომ არის ვებ მისაწვდომობა მნიშვნელოვანი?.....	7
1.2. ვებ მისაწვდომობის გავლენა ადამიანებზე.....	7
1.3. ვის ეხება ვებ მისაწვდომობა? .....	8
1.4 ქვეყანათა უმრავლესობაში ვებ მისაწვდომობა სამართლებრივ დონეზეა დარეგულირებული .....	9
<b>2. საქართველოში არსებული მდგომარეობა .....</b>	<b>10</b>
2.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საქართველოში.....	10
2.2. ვებ მისაწვდომობა საქართველოში.....	14
2.3. საქართველოში არსებული სამართლებრივი ჩარჩო და მიდგომა ვებ მისაწვდომობასთან დაკავშირებით.....	17
<b>3. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა.....</b>	<b>19</b>
3.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია და ვებ მისაწვდომობა.....	19
საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) და ვებ მისაწვდომობა .....	20
დამოუკიდებელი ცხოვრება და სოციალური სერვისების ხარისხი.....	23
დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა ბინაზე.....	24
WCAG ვებ მისაწვდომობის სტანდარტი.....	24
3.2. გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის მოდელები.....	25
3.3. მმართველობის და შესაბამისობის მოდელები .....	30
<b>4. დასკვნითი რეკომენდაციები .....</b>	<b>36</b>
4.1. რეკომენდებული CRPD და ვებ მისაწვდომობის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტები .....	36
4.2. რეკომენდებული გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი.....	38
4.3. რეკომენდებული მმართველობისა და შესაბამისობის დამდგენი ჩარჩო.....	39
<b>გამოყენებული წყაროები.....</b>	<b>41</b>

## აიანოხილვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ვებ მისაწვდომობასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შეფასების პროცესში გამოვლინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ მონაცემები შეზღუდული და ფრაგმენტულია. სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთა შესახებ კონკრეტული სტატისტიკის არარსებობა შეუძლებელს ხდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ოჯახების პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ რეალური სურათის დანახვას. მაგალითად, არ არსებობს კონკრეტული მონაცემები საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ სქესის, ასაკობრივი ჯგუფების, შემოსავლების ან განათლების დონის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში ჯანდაცვის სამინისტრო) შეფასებით, 2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსთან დაკავშირებული სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღებად რეგისტრირებულია 127,132 პირი (2015 წლის მარტის მდგომარეობით აღნიშნული მონაცემი იყო 118,651). აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად ჩამორჩება გლობალურ შეფასებებს, რომლის თანახმად მსოფლიო მოსახლეობის 10-15%-ს აქვს რაიმე ფორმის მუდმივი ან დროებითი შეზღუდვა.

2021 წლის მარტში პროექტის ფარგლებში ორი ონლაინ კვლევა ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემისა და იმ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რომლებიც მუშაობენ საქართველოში შეზღუდული შესაძლებ-

ლობის მქონე პირთა თემთან ან წარმოადგენენ მათ. აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთაგან მესამედს არ ჰქონია კონტაქტი საჯარო სექტორთან უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, რაც ხაზს უსვამს საქართველოში თემის წევრთა რაოდენობის პოტენციურ არასათანადო შეფასებას. გამოკითხულთაგან 10-დან 8 შშმ პირი ოჯახთან ერთად ცხოვრობს. მეოთხედი უმუშევარია, მათი ნახევარი 2,999 ლარზე ნაკლები წლიური შემოსავლით ცხოვრობს და გამოკითხულთა უმრავლესობა სახელმწიფო პენსიაზე ან ოჯახის ფინანსურ დახმარებაზე დამოკიდებული. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემს ძირითადად წვდომა აქვს მობილურ ტელეფონებზე, თითქმის ნახევარი იყენებს ლეპტოპებსა და კომპიუტერებს რეგულარულად. გამოკითხული პირები უპირატესობას ანიჭებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას და ურჩევენიათ, რომ მათ თავად ჰქონდეთ სახელმწიფო სერვისებზე წვდომა ინტერნეტით, ტელეფონით ან ფიზიკურად (ამ თანმიმდევრობით). დაინტერესებულ მხარეთა კვლევა ძირითადად იზიარებს შშმ თემის პოზიციას, განსაკუთრებით ეკრანის წამკითხველის გამოყენებასა და მობილური ტელეფონების საშუალებით ინტერნეტზე წვდომასთან დაკავშირებით. დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა, სქესის, ასაკობრივი ჯგუფისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, აწყდება ინფორმაციასთან წვდომისა და ვებ მისაწვდომობის გამოწვევებს. შესაბამისად, არსებული გარემოებების გამო და თავიანთი სურვილის მიუხედავად, მათ უწევთ საჯარო სერვისების მისაღებად სხვა პირების დახმარება გამოიყენონ.

საქართველოში საჯარო და კერძო ვებგვერდების შერჩეული რაოდენობის ვებ მისაწვდომობის მარტივი შეფასებით დადგინდა, რომ არცერთი მათგანი სრულად არ შეესაბამება მსოფლიო ქსელის კონსორციუმის (W3C) ვებ კონტენტის მისაწვდომობის სახელმძღვანელო მითითებების (WCAG) AA დონეს<sup>1</sup>. საჯარო სექტორის ვებგვერდები ზოგადად უკეთესად ფუნქციონირებენ თავიანთ ეკვივალენტ კერძო სექტორის ვებგვერდებთან შედარებით. WCAG სტანდარტთან შესაბამისობის ნაკლებობა ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული სტანდარტი ამჟამად საქართველოში არ არის დაინერგული. საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან შედარებით, საქართველოს სამთავრობო საიტები ცუდად არ ფუნქციონირებენ, თუმცა, არაერთი მიმართულებით არსებობს გაუმჯობესების პოტენციალი, სულ მცირე, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციით (CRPD) საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან მიმართებით.

პროექტის მიგნებების გათვალისწინებით, საქართველოს რეალობისთვის შემუშავდა სამი რეკომენდაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში კონვენციის (CRPD) იმპლემენტაციას და გააუმჯობესებს შშმ პირებისთვის ვებ მისაწვდომობას.

პირველ რიგში, საქართველომ უნდა მიიღოს **შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი კომპონენტები** და შეუსაბამოს ისინი ევროკავშირის მიდგომას და WCAG სტანდარტს. მიზანშეწონილია, რომ საქართველომ უზრუნველყოს ევროკავშირის 2016/2102 დირექტივის ასახვა მის ეროვნულ კანონმდებლობაში, საჯარო

დანესებულებებისა და ყველა არასაჯარო ორგანიზაციის<sup>2</sup> ვებსაიტების და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ სპეციალური კანონის (რეკომენდებულია), ან რეგულაციის მიღების გზით.

მეორე, ყველა სახელმწიფო უწყებისთვის **ონლაინ გამოყენებადობა და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი**, მათ შორის WCAG სტანდარტი, AA დონე, უნდა დაინერგოს. აღნიშნული საქართველოს დაახლოვებს საერთაშორისო და ევროკავშირის პრაქტიკასა და მოთხოვნებთან. რეკომენდებულია, აღნიშნული წარმოადგენდეს ციფრული მმართველობის სააგენტო (ცმს) პასუხისმგებლობას, რომელიც ინიციატივის სახით უნდა აისახოს 2021-2024 წლების ციფრული მმართველობის სტრატეგიაში. გაფართოებული მანდატისთვის სააგენტო უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი რესურსით.

მესამე, საქართველოში უნდა დაინერგოს მმართველობის და შესაბამისობის დამდგენი ჩარჩო, რომელიც ხელს შეუწყობს ონლაინ გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს საჯარო სექტორის ონლაინ სერვისებზე. ასევე მიზანშეწონილია, ცმს-ის არსებული მანდატის გაძლიერება, რომელიც უზრუნველყოფს ონლაინ გამოყენებადობისა და ვებმისაწვდომობის სტანდარტთან დაკავშირებული სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს მონიტორინგს და შესაბამისობის დადგენას. აუცილებელია გაფართოებული მანდატისთვის სააგენტოს სათანადო რესურსით უზრუნველყოფა.

1. W3C WCAG არის სტანდარტი ვებ მისაწვდომობისთვის. ეს არის ვებ მისაწვდომობისა და კარგი მომხმარებლის დიზაინის განმსაზღვრელი ძირითადი საერთაშორისო სტანდარტი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ნაწილი 3.1., გვერდები 18-19.

2. ტერმინი "არასაჯარო ორგანიზაციები" მოიაზრებს ყველა სუბიექტს, მათ შორის კერძო, არაკომერციულ და სხვა სახის კომპანიებს, ორგანიზაციებს და ა.შ.

# 1. შესავალი

## 1.1. ხაგომ ახის ვებ მისაწვდომობა მნიშვნელოვანი?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ (CRPD) გაეროს კონვენცია აღიარებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) კრიტიკულ მნიშვნელობას შშმ პირთა ჩართვისა და გაძლიერებისთვის, ისევე როგორც სხვებთან თანაბარ პირობებში ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სრულად სარგებლობის ხელშესაწყობად.

კონვენციის მე-9 და 21-ე მუხლები ხაზს უსვამენ, როგორც ინფორმაციის, ისე ტექნოლოგიის მისაწვდომობის მნიშვნელობას. კონვენცია მოუწოდებს გაეროს წევრ ქვეყნებს, უზრუნველყონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე (ICT) თანაბარი წვდომა და არსებული ბარიერების აღმოფხვრა. მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიხედვით, ტექნოლოგია 2030 წლის მიზნების მიღწევის მთავარ ხელშემწყობ საშუალებას წარმოადგენს. მიზანი 9, სამიზნე C, რომელიც მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ზოგადად მოსახლეობის ციფრული ჩართულობის განვითარებისთვის, კონკრეტულად ორიენტირებულია 2030 წლისთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომის, ინტერნეტის მისაწვდომობის და უნივერსალური წვდომის გაზრდაზე.

ვებ მისაწვდომობა ფართო თემაა, რომელთან მიმართებითაც არ არსებობს ერთიანი გადაწყვეტა, რადგან არსებობს “მისაწვდომობის” იმდენი განმარტება, რამდენი ინტერნეტ-მომხმარებელიცაა. ვებგვერდი, რომელიც, სრულად მისაწვდომია მხედველობის შეზღუდვის მქონე მომხმარებლებისთვის, შეიძლება, შეიცავდეს სერიოზულ დაბრკოლებებს კოგნიტური დარღვევის მქონე მომხმარებლისთვის.

## 1.2. ვებ მისაწვდომობის გავლენა ადამიანებზე

დაახლოებით მილიარდ ადამიანს, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 15%-ს, აქვს სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მათ მიერ ინტერნეტის გამოყენებაზე. შესაძლებლობის შეზღუდვის პრევალენტობა განვითარებად ქვეყნებში უფრო მაღალია - გლობალური მთლიანი მონაცემების დაახლოებით მეხუთედი, ანუ 110 მილიონიდან 190 მილიონამდე ადამიანი, განიცდის მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდულ შესაძლებლობას<sup>3</sup>. სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდილი მაჩვენებელი დამატებით ზრდის აღნიშნულს. პროგნოზების თანახმად, მსოფლიო მოსახლეობის დაბერების მაჩვენებელი გაორმაგდება 2050 წელს და იქნება სამჯერ მეტი 2100 წლისთვის.

3. მსოფლიო ბანკი (2020).

იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის შესაძლებლობები ასაკთან ერთად იცვლება, მათ საკუთარ საჭიროებებზე მორგებული ონლაინ გამოცდილება სჭირდებათ. რაც შეეხება ინტერნეტ და ონლაინ სერვისების შეთავაზებებს, აღნიშნული წარმოდგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ნებისმიერი საჯარო თუ კერძო ორგანიზაციისათვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 71% აცხადებს, რომ ისინი უბრალოდ არ სარგებლობენ იმ ვებსაიტით, რომელიც ან არ არის მისაწვდომი, ან არ სთავაზობს მისაწვდომ ალტერნატივებს<sup>4</sup>. აღნიშნული გამყარებულია კვლევებით, რომელიც მიუთითებს, რომ გადაწყვეტები, რომელიც არ არის მომხმარებლის მიმართ მეგობრული და არ მოიცავს ვებ მისაწვდომობას, არ არის სათანადოდ წარმატებული.

ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფრო მეტად აწყდებიან არასასურველ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, როგორცაა ნაკლები განათლება, ჯანმრთელობის გაუარესებული შედეგები, დასაქმების დაბალი დონე და სიღარიბის უფრო მაღალი დონე<sup>5</sup>, მათთვის სერვისებზე მისაწვდომობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ტექნოლოგია მისაწვდომობის სასარგებლოდ ვითარდება. ონლაინ ბრაუზინგის და ციფრული სერვისებისთვის დამხმარე ინსტრუმენტები და საშუალებები სულ უფრო მეტად ვრცელდება. სახელმწიფო უწყებები ახალ გადაწყვეტასთან მიმართებით ავტომატური სკანირების მეშვეობით, რომელიც აიდენტიფიცირებს მისაწვდომობის საკითხებს ვებსაიტზე, ახორციელებენ რეგულარულ ან სავალდებულო შესაბამისობის შემოწმებას. სახელმწიფო უწყებებს ასევე შემოღებული აქვთ ყოველწლიური დაჯილდოების სქემები, რომლებიც ადგენენ მთავრობის საუკეთესო და ყველაზე ცუდ ვებსაიტებს. ახალ ტექნოლოგიებთან უფრო მეტი ონლაინ გადაწყვეტის ადაპტირების შემდეგ, მათ, ვინც ახალ ტექნოლოგიას ფეხს ვერ აუწყობს, ემუქრებათ ჩამორჩენა და მარგინალიზაცია, ან მომხმარებლების, მათ შორის, შშმ მომხმარებლების გამორიცხვა.

### 1.3. ვის ეხება ვებ მისაწვდომობა?

როგორც აღინიშნა, არ არსებობს მისაწვდომობის ერთიანი განსაზღვრება. ასევე, არ არსებობს ერთიანი განმარტება, რომელიც ფარავს ყველა სახის შეზღუდულ შესაძლებლობას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მომხმარებლები განსხვავებული და მრავალფეროვანი ჯგუფია. აღნიშნულის გამო, მისაწვდომობის საკითხების უმრავლესობა შეიძლება, დაიყოს ოთხ მთავარ კატეგორიად:

- **მხედველობის სირთულე** გავლენას ახდენს მხედველობის შეზღუდვის მქონე, მხედველობის არ მქონე და ფერადი მხედველობის არმქონე მომხმარებლებზე. ეკრანის წამკითხველთა თავსებადობა, ფერის კონტრასტი, მასშტაბირებადი შინაარსი, აუდიო აღწერილობა და სურათებისა და ვიდეოების ალტერნატიული ტექსტი ამ კატეგორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

4. SiteImprove (2020).

5. მსოფლიო ბანკი (2020).



- **მოტორული უნარების დარღვევა** გავლენას ახდენს იმ მომხმარებლებზე, რომელთაც მოძრაობის სხვადასხვა ფორმის შეზღუდვა გააჩნიათ. კლავიატურის ნავიგაცია, თავსებადობა სხვადასხვა დამხმარე ტექნოლოგიებთან, როგორცაა თავსაცვი (mouthpieces), თავის ჯადოსნური ჯოხები (head ‘magic wands’) და კონტაქტით მომუშავე მოწყობილობები, სათანადოდ ეტიკეტირებული კონტროლი და შეცდომების გასწორების მარტივი პროცესები ამ კატეგორიის მნიშვნელოვანი ნაწილია.
- **სმენის სირთულეები** გავლენას ახდენს სმენის არმქონე/ყრუ ან სმენის სირთულეების მქონე მომხმარებლებზე. სუბტიტრები და აუდიო და ვიდეო შინაარსის ტრანსკრიფცია არის ამ კატეგორიაში გასათვალისწინებელი ძირითადი ელემენტები.
- **კოგნიტური დარღვევა** გავლენას ახდენს იმ მომხმარებლებზე, რომელთაც მეხსიერებასთან, ყურადღებასთან ან ინფორმაციის ინტერპრეტაციის უნართან დაკავშირებული დარღვევები გააჩნიათ. ნაკითხვადობა, მარტივი ნავიგაციის დიზაინი, უწყვეტი ბრაუზინგის გამოცდილება და ტექსტში ადეკვატური ინტერვალის არსებობა არის ამ კატეგორიაში შემავალი ფაქტორები.

#### 1.4. ქვეყანათა უმრავლესობაში ვებ მისაწვდომობა სამაჩთებხივ ღონეზუა დახეგუდიხებული

მსოფლიო ქსელის კონსორციუმის (W3C) ვებ კონტენტის მისაწვდომობის სახელმძღვანელო მითითებები (WCAG) ონლაინ შინაარსისა და სერვისების, მათ შორის ვებგვერდის, აპლიკაციების, ტრანზაქციული და სხვა სახის სერვისებისთვის, წარმოადგენს გლობალური ვებ მისაწვდომობის სტანდარტების საფუძველს<sup>6</sup>. WCAG-ს სტანდარტთან შესაბამისობა უზრუნველყოფს, რომ ონლაინ შინაარსი იყოს მარტივად გამოყენებადი და მისაწვდომი ყველა მომხმარებლისთვის, განსაკუთრებით შშმ პირებისთვის. აღნიშნული მოიცავს შრიფტის ცვლადი ზომის (მაგ. მცირემხედველი პირებისთვის), კონტრასტული ფერების უზრუნველყოფას (მაგ. ფერადი მხედველობის არ ქონა), ალტერნატიულ ტექსტებს (მაგ. სურათებისთვის), დაკლიკვას, და ა.შ. ის ასევე ადგენს სტანდარტს, თუ რომელი მოწყობილობების გამოყენება შეუძლიათ შშმ პირებს ციფრულ შინაარსზე წვდომისათვის, მათ შორისაა ეკრანის წამკითხველები და პროგრამული უზრუნველყოფა ხმამაღლა წაკითხვისთვის ან შინაარსის ბრაილში თარგმნისთვის. შეჯამებისთვის, აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებები პირდაპირ კავშირშია თანაბარი წვდომის უზრუნველყოფის შესახებ მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG), რათა არავინ დარჩეს მიღმა, და ასევე აძლიერებს საერთაშორისო კონვენციებს, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციას (CRPD).

6. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ, სექცია 3.1. გვერდები 18-19.

## 2. საქართველოში არსებული აღზომარეობა

### 2.1. შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირობები საქართველოში

შებენიანი შესაძლებლობის შესახებ მონაცემები საქართველოში შებენიანი და ფრაგმენტულია. განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ კონკრეტული სტატისტიკის არარსებობა შეუძლებელს ხდის შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ოჯახების პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ რეალური სურათის დანახვას. მაგალითად, არ არსებობს კონკრეტული მონაცემები საქართველოში შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ სქესის, ასაკობრივი ჯგუფების, შემოსავლების ან განათლების დონის მიხედვით<sup>7</sup>.

ჯანდაცვის სამინისტროს შეფასებით, 2020 წლის ოქტომბერში 127,132 ადამიანი დარეგისტრირდა შებენიან შესაძლებლობასთან დაკავშირებული სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღებ პირად (2015 წლის მარტის მდგომარეობით აღნიშნული მონაცემი იყო 118,651)<sup>8</sup>, რაც საქართველოში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობის 3%-მდეა. აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც მსოფლიო ბანკის, ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო - WHO) უფრო კონსერვატიულ შეფასებებს, რომლის მიხედვითაც შებენიანი შესაძლებლობის გლობალური მაჩვენებელი დაახლოებით 10%-ია<sup>9,10</sup>. თუმცა, სხვადასხვა წყაროები მიუთითებს, რომ მსგავსი მოცემულობა არსებობს საქართველოშიც. მაგალითად, შებენიანი შესაძლებლობის მქონე ქალები უფრო მოწყვლადები არიან და ნაკლებად სავარაუდოა, რომ იღებენ სახელმწიფოს მხრიდან შესაბამის მხარდაჭერას ან გრანტებს. ხოლო იძულებით გადაადგილებულ შშმ პირებს შორის 15-24 წლამდე ქალები და ახალგაზრდები იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან და საშუალო სტატისტიკურ ქართველთან შედარებით უფრო მოწყვლადები არიან<sup>11, 12, 13</sup>.

7. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემები შებენიან შესაძლებლობასთან დაკავშირებული სოციალური დახმარების მიმღებ პირების შესახებ სეგმენტირებულია გეოგრაფიული ადგილმდებარეობის (ეროვნული, რეგიონული და თბილისის რაიონები), ასაკობრივი ჯგუფის (0-18 და 19 წელი და ზემოთ) და მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა მიხედვით.

8. ჯანდაცვის სამინისტრო (2020). სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით.

9. IDFI (2015)

10. UNDP (2019)

11. IBRD (2016)

12. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის (2017).

13. საერთაშორისო ფონდი საარჩევნო სისტემების შესახებ (2019)

**ცხილი 1:** შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სოციალური დახმავების მიმღებ პირობა ხევიონული განაწილება საქართველოში 2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით (წყარო: ჯანდაცვის სამინისტრო, 2020)

რეგიონი	0-18 შშმ პირები	მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	შშმ პირთა ჯამური რეგიონული რაოდენობა
თბილისი	3.834	7.316	16.302	2.806	30.258
- გლდანი-ნაძალადევი	1.138				
- დიდუბე-ჩუღურეთი	428	709	1.811	221	3.169
- ისანი-სამგორი	1.119	2.147	4.788	884	
- ვაკე-საბურთალო	833	1.413	3.011	504	
- ძველი თბილისი	316	776	1.617	324	3.033
გურია	362	1.053	2.967	375	4.757
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	63	337	936	128	1.464
კახეთი	906	2.421	6.849	1.089	11.265
იმერეთი	1.613	5.547	14.482	1.868	23.510
მცხეთა-მთიანეთი	228	650	1.652	317	2.847
სამეგრელო-ზემო სვანეთი	916	2.950	7.833	1.007	12.706
სამცხე-ჯავახეთი	375	1.136	2.723	474	4.708
ქვემო ქართლი	1.251	2.648	5.728	966	10.593
შიდა ქართლი	636	2.047	5.634	1.319	9.636
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	1.444	3.787	8.756	1.401	15.388
<b>ჯამური რაოდენობა</b>	<b>11.628</b>	<b>29.892</b>	<b>73.862</b>	<b>11.750</b>	<b>127.132</b>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა შედარებით სტაბილური იყო 2015-2020 წლებში, 2015 წლის მონაცემები არ ითვალისწინებდა იმ პერიოდის საქართველოში ურბანიზაციის მაჩვენებელს, ან მაგალითად თბილისსა და ბათუმში მოსახლეობის სიმჭიდროვის ცვლილებას და სწრაფ გაფართოებას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ უმთავრესად ახალგაზრდა ქართველები ტოვებენ სოფლებს და პატარა ქალაქებს უფრო დიდ ქალაქებში - თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, საცხოვრებლად გადასასვლელად.

თუ ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით დათვლილ შშმ პირთა რაოდენობას შევადარებთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის<sup>14</sup> 10% გლობალურ შეფასებას, 2020 წლის მდგომარეობით იმ ქართველთა რაოდენობა, ვისაც რაიმე ფორმის ან ხარისხის შეზღუდვა აქვს, დაახლოებით 398,000-ია - უხეშად ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში ოფიციალური

14. UNDP (2019)

მოსახლეობის რაოდენობის ტოლი. თუ მსოფლიო ბანკის (2020) 15%-იან შეფასებას გამოვიყენებთ, აღნიშნული რიცხვი გაუტოლდება 600,000, რაც თბილისის მოსახლეობის დაახლოებით ნახევრის ექვივალენტია.

2021 წლის თებერვალ-მარტში შშმ პირებისთვის ჩატარებულ ონლაინ გამოკითხვაში, შშმ თემთან მიმართებით არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოვლინდა<sup>15</sup>. მართალია, აღნიშნული სტატისტიკურად მყარი მონაცემი არ არის (ნიმუშის ზომის გამო), მაგრამ ის არაერთ საინტერესო მოსაზრებას ავლენს. გამოკითხულთა თითქმის 90% 19-დან 59 წლამდე ასაკისაა, აქედან 72% ცხოვრობს თბილისში და 78% ქალაქებში, სადაც 200,000 ან მეტი მოსახლეა. 86% - ოჯახთან ერთად ცხოვრობს და მხოლოდ 8.3% ცხოვრობს მარტო. გამოკითხულთა ნახევარმა აღნიშნა, რომ მათი წლიური შემოსავლის დონე 2,999 ლარამდეა, 22.2% ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფო პენსიაზე და 13.9% იღებს ფინანსურ დახმარებას ოჯახისგან. შშმ რესპოდენტთა 47.2% დასაქმებულია კერძო სექტორში, 25% უმუშევარია, 8.3% სახელმწიფო უწყების თანამშრომელია, ანალოგიური რაოდენობის შშმ პირები თვითდასაქმებულები არიან, 2.8% კი სწავლობს.

გამოკითხულთა 33%-ს ბოლო 12 თვის განმავლობაში არ ჰქონია რაიმე სახის შეხება რომელიმე სახელმწიფო უწყებასთან, 58.4%-ს კონტაქტი მინიმუმ ორჯერ ჰქონდა, 38.9%-ს კი - ხუთზე მეტჯერ ჰქონდა კონტაქტი გასული წლის განმავლობაში. ეს ხაზს უსვამს სახელმწიფო დახმარების აუცილებლობას, მაგრამ ამავდროულად აჩვენებს, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებში ყველა შშმ პირი არ არის დაფიქსირებული.

არაერთი ქცევითი და პრეფერენციული ტენდენცია ჩნდება შშმ თემის ონლაინ გამოკითხვაში. გამოკითხულთა უმრავლესობას ურჩევნია სამთავრობო უწყებებთან წვდომა ჰქონდეს ინტერნეტით და დამოუკიდებლად. ამას მოყვება სახელმწიფო უწყებებთან ტელეფონით ან ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა. უფრო დაბალია პერსონალური ასისტენტის დახმარებით კონტაქტის სურვილი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მიზნად ისახავენ დამოუკიდებლად ცხოვრებას ოჯახის და მეგობრების სპეციალური დახმარების გარეშე.

რაც შეეხება წვდომას, მობილური ტელეფონები ყველაზე გავრცელებული ციფრული მონყობილობაა, რომელზეც საქართველოში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ წვდომა და რომლითაც ისინი სარგებლობენ. 61%-ზე მეტი რესპოდენტი იყენებს ტელეფონს. ამას მოყვება ლეპტოპები, რომელსაც რესპოდენტთა ნახევარი იყენებს, ხოლო ათიდან 4 რესპოდენტი პერსონალურ კომპიუტერს იყენებს. პლანშეტების და სხვა მონყობილობების გამოყენების მაჩვენებელი დაბალია. ოჯახთან კომუნიკაციისთვის პირადი ინტერაქცია დომინირებს. კერძოდ, რესპოდენტთა 75% მიუთითებს, რომ აღნიშნული ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. შედარებისთვის, ტელეფონით და ინტერნეტის მეშვეობით კონტაქტის დამყარება გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარმა დაასახელა.

15. ვებ მისაწვდომობა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (2021 წ.). გამოკითხვა განხორციელდა 2021 წლის თებერვალ-მარტში ონლაინ რეჟიმში. კვლევის ნიმუშების რაოდენობა იყო 36. გამოკითხვის კითხვები და პასუხები მოცემულია ცალკე ანგარიშში.

მხედველობის სირთულის მქონე ქართველები ძირითადად იყენებენ ეკრანის წამკითხველს და ვებგვერდების ხმამაღლა წამკითხავ ფუნქციებს, მაგრამ ხშირად ასევე ჰყავთ პერსონალური ასისტენტი. გამოკითხული რესპონდენტები უპირატესობას პირველ მათგანს ანიჭებენ ონლაინ შინაარსის აუდიო თარგმანთან ერთად. ქართველები, რომელთაც მობილობის სხვადასხვა ფორმის შებენიანი აქვთ, იყენებენ ისეთ მნიშვნელოვან საშუალებებს, როგორცაა კონტაქტით აღჭურვილი მონაცემილობები, მათ შორის თავსაცვი (mouthpieces), ხმოვანი და აუდიო აღწერის ფუნქციის მქონე აპარატები. უპირატესობა ენიჭება მსგავს ინსტრუმენტებს, და ასევე ვებსაიტებზე დაინსტალირებულ აუდიო აღწერის გაუმჯობესებულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ხმამაღლა წამკითხავ ფუნქციებს. სმენითი დარღვევის მქონე ქართველები ვიდეოებზე ქვესათაურებს, აუდიოს ტექსტის ტრანსკრიპტს და ალტერნატიულ ტექსტებს ეძებენ. ასევე ეძებენ ჟესტურ ენას. აღნიშნული საშუალებები წარმოადგენენ სასურველ არჩევანს ეკრანის წამკითხველთან ერთად. კოგნიტური დარღვევის მქონე ქართველები დახმარებას სხვებისგან (მაგალითად, ოჯახის წევრები და მეგობრები) იღებენ, მაგრამ ასევე იყენებენ ხმამაღლა წამკითხველ და ხმოვანი ფუნქციის პროგრამულ უზრუნველყოფას. ინფორმაციისა და მომსახურების მისაღებად უპირატესობა ენიჭება ასისტენტის ყოლას და ალტერნატიულ საშუალებებს.

დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი ძირითადად შეესაბამება შშმ თემის კვლევის მიგნებებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შშმ თემი უპირატესობას ანიჭებს დამოუკიდებელ ცხოვრებას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) და ტექნიკური საშუალებების დახმარებით ან მათ გარეშე. ის ასევე ადასტურებს, რომ ყველა სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები დგანან სერიოზული გამოწვევების წინაშე, თუმცა, ქალები უფრო მეტად აწყდებიან პრობლემებს მისაწვდომობის თვალსაზრისით მამაკაცებთან შედარებით. მართალია, დაინტერესებული მხარეები ადასტურებენ, რომ შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უმეტესობას აქვს მობილური ტელეფონები და წვდომა მობილურ ინტერნეტზე, თუმცა ისინი ასევე ხაზს უსვამენ, რომ უმრავლესობას სჭირდება სხვების დახმარება საჯარო სერვისებზე ინტერნეტით ან მის გარეშე წვდომისათვის, რაც განპირობებულია არსებული გარემოებებით და არა მათი სურვილით.

## 2.2. ვებ მისაწვდომობა საქართველოში

ტექნოლოგია ფართოდ აღიარებულია შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში დახმარების ინსტრუმენტად, ისევე როგორც ინფორმაციასა და სერვისებზე მისაწვდომობის გასაზრდელ საშუალებად. გარკვეული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირები საქართველოში აწყდებიან გამონვევებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა (ICT) და დამხმარე ტექნოლოგიებზე წვდომისას. არსებული გამონვევის გადასაჭრელად, სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში რეკომენდებულია დეტალური რეგულაციების მიღება ნორმატიულ დონეზე<sup>16</sup>. სხვა კვლევები საქართველოს მთავრობას და საჯარო სექტორს მოუწოდებს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე (ICT) მისაწვდომობის პოლიტიკის დოკუმენტების და რეგულაციების შემოღებას, რაც აუცილებელია შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის როგორც ფიზიკურ, ასევე ციფრულ სფეროში ადეკვატური მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად<sup>17</sup>.

საქართველოში ვებ მისაწვდომობის შესაფასებლად ცენტრალური მთავრობის ცამეტი (13) ვებგვერდის და თორმეტი (12) არასამთავრობო ვებგვერდის მარტივი შეფასება განხორციელდა<sup>18</sup>. შერჩეული საიტები შემომხდა გლობალური WCAG 2.0 AA სტანდარტის ასევე მარკირების და CSS სტილების ცხრილის სტანდარტებთან შესაბამისად, რომელიც ხშირად გამოწვევას წარმოადგენს<sup>19</sup>.

საჯარო სექტორის ვებგვერდების WCAG შეფასების შედეგები შეჯამებულია მე-2 ცხრილში. საჯარო სექტორის ცამეტიდან (13) ოთხი (4) საიტი სრულად შეესაბამება WCAG 2.0 AA-ს, მაგრამ აქვს CSS და მარკირების სტანდარტების კუთხით გაუმჯობესების პოტენციალი. დანარჩენი ცხრა ვებგვერდი სტანდარტებთან შეუსაბამოა და არ გააჩნია გაუმჯობესების პოტენციალი. მხოლოდ ერთი საიტი (საქართველოს მთავრობა) სრულად შეესაბამება CSS სტილების ცხრილის სტანდარტებს, თუმცა, არ შეესაბამება WCAG 2.0 AA სტანდარტს. მხოლოდ ერთი საიტი (my.gov.ge) შეესაბამება მარკირების სტანდარტს. შერჩეულ 13 საიტს შორის my.gov.ge და საქართველოს პარლამენტის საიტები საუკეთესო საიტებად მიიჩნევა.

16. საქართველოს სახალხო დამცველი (2018)

17. UNDP (2019b)

18. საჯარო სექტორის საიტები შეირჩა საჯარო სექტორის მომსახურების მიწოდების კუთხით მათი შედარებითი მნიშვნელობის საფუძველზე. არასამთავრობო სექტორის საიტები მოიცავს ბანკებს, მედიას, სატრანსპორტო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საიტებს.

19. შემდეგი ინსტრუმენტები იქნა გამოყენებული: WCAG 2.0 AA სტანდარტი <https://achecker.ca/checker/index.php>; CSS სტილების ცხრილები <https://jigsaw.w3.org/css-validator/>, და; მარკირება <https://validator.w3.org/>.



**ცხიიი 2:** შეჩრეული ქაიიული საჯაიიო სექციიის ვებსაიციების მაიცივი WCAG ცესცის შედეგები (წყაიი: ავციიი, 2020)

საიციის სახელწოდება	URL	მარტივი WCAG ცესცის შედეგი (2020 წლის 11 ნოემბერი)		
		WCAG 2.0 AA	CSS სტილების ცხრილი	მარკირება
საქართველოს მთავრობა	<a href="http://gov.ge/">http://gov.ge/</a>	არა, 45 გამოვლენილი პრობლემა	კი, 0 შეცდომა, 25 გაფრთხილება	არა, 476 შეცდომა, 855 გაფრთხილება
საქართველოს პარლამენტი	<a href="http://www.parliament.ge/">http://www.parliament.ge/</a>	კი, 0 გამოვლენილი პრობლემა	არა, 5 შეცდომა, 903 გაფრთხილება	არა, 89 შეცდომა, 1 გაფრთხილება
my.gov.ge	<a href="https://www.my.gov.ge/ka-ge/services/10">https://www.my.gov.ge/ka-ge/services/10</a>	კი, 0 გამოვლენილი პრობლემა	არა, 13 შეცდომა, 1306 გაფრთხილება	არა, 8 შეცდომა, 0 გაფრთხილება
იუსტიციის სახლი	<a href="http://psh.gov.ge/">http://psh.gov.ge/</a>	კი, 0 გამოვლენილი პრობლემა	არა, 16 შეცდომა, 456 გაფრთხილება	არა, 21 შეცდომა, 11 გაფრთხილება
საგარეო საქმეთა სამინისტრო	<a href="https://mfa.gov.ge/">https://mfa.gov.ge/</a>	არა, 26 გამოვლენილი პრობლემა	არა, 34 შეცდომა, 412 გაფრთხილება	არა, 183 შეცდომა, 6 გაფრთხილება
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	<a href="https://matsne.gov.ge/">https://matsne.gov.ge/</a>	კი, 0 გამოვლენილი პრობლემა	არა, 11 შეცდომა, 522 გაფრთხილება	არა, 245 შეცდომა, 33 გაფრთხილება
იუსტიციის სამინისტრო	<a href="https://justice.gov.ge/">https://justice.gov.ge/</a>	არა, 20 გამოვლენილი პრობლემა	არა, 2 შეცდომა, 279 გაფრთხილება	არა, 17 შეცდომა, 0 გაფრთხილება
ფინანსთა სამინისტრო	<a href="https://www.mof.ge/">https://www.mof.ge/</a>	არა, 119 გამოვლენილი პრობლემა	არა, 25 შეცდომა, 82 გაფრთხილება	არა, 204 შეცდომა, 1 გაფრთხილება
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	mes.gov.ge	არა, 101 გამოვლენილი პრობლემა	არა, 11 შეცდომა, 868 გაფრთხილება	არა, 80 შეცდომა, 31 გაფრთხილება
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	procurement.gov.ge	არა, 42 გამოვლენილი პრობლემა	არა, 23 შეცდომა, 160 გაფრთხილება	არა, 25 შეცდომა, 12 გაფრთხილება
თბილისის მერია	<a href="http://www.tbilisi.gov.ge/">http://www.tbilisi.gov.ge/</a>	არა, 56 გამოვლენილი პრობლემა	არა, 3 შეცდომა, 156 გაფრთხილება	არა, 141 შეცდომა, 7 გაფრთხილება
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	<a href="http://www.batumicc.ge/">http://www.batumicc.ge/</a>	არა, 99 გამოვლენილი პრობლემა	არა, 6 შეცდომა, 229 გაფრთხილება	არა, 94 შეცდომა, 71 გაფრთხილება
StopCoV.ge	<a href="https://stopcov.ge/">https://stopcov.ge/</a>	არა, 23 გამოვლენილი პრობლემა	არა, 3 შეცდომა, 895 გაფრთხილება	არა, 48 შეცდომა, 6 გაფრთხილება

**შენიშვნა:** 0 შეცდომა (პრობლემა არ ფიქსირდება) შესაბამისობაშია (აღნიშნულია მწვანედ); 1-20 შეცდომა (გამოვლენილი პრობლემები ნახევრად შესაბამისობაშია (აღნიშნულია ნარინჯისფერად); 21 და მეტი შეცდომა (გამოვლენილი პრობლემები) ძირითადად შეუსაბამოა (აღნიშნულია წითლად).

არასაჯარო სექტორის ვებგვერდების WCAG შეფასების შედეგები შეჯამებულია მე-3 ცხრილში. თორმეტი (12) არასაჯარო სექტორის სამი (3) საიტი სრულად შეესაბამება WCAG 2.0 AA-ს, მაგრამ აქვს CSS სტილების ცხრილის და მარკირების სტანდარტების გაუმჯობესების პოტენციალი. დანარჩენი ცხრა ვებგვერდი შეუთავსებელია, თუმცა, ექვს მათგანს გააჩნია მნიშვნელოვანი გაუმჯობესების პოტენციალი. არცერთი საიტი სრულად არ შეესაბამება CSS სტილების ცხრილს და მარკირების სტანდარტებს. საშუალოდ, საჯარო სექტორთან შედარებით არასაჯარო სექტორის საიტებში შეცდომების, პრობლემების და გაფრთხილებების უფრო ნაკლები რაოდენობა გამოვლინდა. შერჩეული 12 საიტიდან საქართველოს ბანკის და საერთაშორისო გამჭვირვალობის საიტები საუკეთესო საიტებად მიიჩნევა.

**ცხრილი 3:** შეჩრეული ქართული ახასაჯარო სექტორის ვებგვერდების მაჩვი WCAG გესტის შედეგები (წყახო: ავტოხო, 2020)

საიტის სახელწოდება	URL	მარტივი WCAG ტესტის შედეგი (2020 წლის 11 ნოემბერი)		
		WCAG 2.0 AA	CSS სტილების ცხრილი	მარკირება
საქართველოს ბანკი	<a href="https://bankofgeorgia.ge/en/">https://bankofgeorgia.ge/en/</a>	დიახ, 0 გამოვლენილი პრობლემა	არა, 7 შეცდომა, 221 გაფრთხილება	არა, 2 შეცდომა, 1 გაფრთხილება
თბილისის აეროპორტი	<a href="http://www.tbilisiairport.com/">http://www.tbilisiairport.com/</a>	არა, 16 გამოვლენილი პრობლემა	არა, 9 შეცდომა, 2926 გაფრთხილება	არა, 57 შეცდომა, 31 გაფრთხილება
საქართველოს რკინიგზა	<a href="http://www.railway.ge/">http://www.railway.ge/</a>	არა, 50 გამოვლენილი პრობლემა	არა, 3 შეცდომა, 1148 გაფრთხილება	არა, 8 შეცდომა, 6 გაფრთხილება
Amindi.ge (საიტი) - ამინდის პროგნოზი, სიახლები	<a href="https://amindi.ge/">https://amindi.ge/</a>	არა, 23 გამოვლენილი პრობლემა	არა, 1 შეცდომა, 29 გაფრთხილება	არა, 42 შეცდომა, 9 გაფრთხილება
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (საჯარო)	<a href="https://1tv.ge/">https://1tv.ge/</a>	არა, 127 გამოვლენილი პრობლემა	არა, 29 შეცდომა, 582 გაფრთხილება	არა, 6 შეცდომა, 4 გაფრთხილება
რუსთავი 2 (კომერციული)	<a href="https://rustavi2.ge/">https://rustavi2.ge/</a>	არა, 155 გამოვლენილი პრობლემა	არა, 2 შეცდომა, 1031 გაფრთხილება	არა, 136 შეცდომა, 18 გაფრთხილება
ინტერპრესნიუსი	<a href="https://www.interpressnews.ge/">https://www.interpressnews.ge/</a>	დიახ, 0 გამოვლენილი პრობლემა	არა, 3 შეცდომა, 255 გაფრთხილება	არა, 61 შეცდომა, 10 გაფრთხილება
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	<a href="https://gyla.ge/ge">https://gyla.ge/ge</a>	არა, 63 გამოვლენილი პრობლემა	არა, 9 შეცდომა, 469 გაფრთხილება	არა, 42 შეცდომა, 7 გაფრთხილება
საერთაშორისო გამჭვირვალობა	<a href="https://transparency.ge/">https://transparency.ge/</a>	დიახ, 0 გამოვლენილი პრობლემა	არა, 4 შეცდომა, 404 გაფრთხილება	არა, 12 შეცდომა, 2 გაფრთხილება
myvideo.ge	<a href="https://www.myvideo.ge/">https://www.myvideo.ge/</a>	არა, 269 გამოვლენილი პრობლემა	შეცდომა	არა, 45 შეცდომა, 27 გაფრთხილება
Jobs.ge	<a href="https://jobs.ge/">https://jobs.ge/</a>	არა, 20 გამოვლენილი პრობლემა	არა, 5 შეცდომა, 59 გაფრთხილება	არა, 137 შეცდომა, 10 გაფრთხილება
iMovies	<a href="https://www.imovies.cc/">https://www.imovies.cc/</a>	არა, 2 გამოვლენილი პრობლემა	არა, 21 შეცდომა, 7663 გაფრთხილება	არა, 2 შეცდომა, 2 გაფრთხილება

**შენიშვნა:** 0 შეცდომა (პრობლემა არ ფიქსირდება) შესაბამისობაშია (აღნიშნულია მწვანედ); 1-20 შეცდომა (გამოვლენილი პრობლემები ნახევრად შესაბამისობაშია (აღნიშნულია ნარინჯისფერად); 21 და მეტი შეცდომა (გამოვლენილი პრობლემები) ძირითადად შეუსაბამოა (აღნიშნულია წითლად).



### 2.3. საქაიხველოში ახსებული სამაიხილებიივი ჩაიჩრო და მიდგომა ვებ მისაწვდომობასთან დაკავშირებით

შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია (CRPD) რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წელს. იგი ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილს<sup>20</sup>, რის შედეგადაც საქართველო მსოფლიოში 143-ე ქვეყანა გახდა, რომელიც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ჯგუფს შეუერთდა<sup>21</sup>. CRPD-ის ფაკულტატიური ოქმი რატიფიცირებულ იქნა პარლამენტის მიერ 2021 წლის 5 მარტს, რომელიც ძალაში 2021 წლის 12 მაისს შევიდა<sup>22</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია 2014 წელს იქნა რატიფიცირებული, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ვებ მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად სამართლებრივი, მარეგულირებელი, მმართველობის და შესაბამისობის დამდგენი მექანიზმები დღემდე არ არის სათანადოდ მოწესრიგებული. შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხი საქართველოში ამჟამად რეგულირდება „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით. კანონის<sup>23</sup> 1-ლი და მე-4 მუხლები განსაზღვრავს უნივერსალური დიზაინისა და დამოუკიდებელი ცხოვრების პრინციპს, მაგრამ არ მიუთითებს რაიმე სტანდარტზე. კანონის 21-ე მუხლი განსაზღვრავს მმართველობის და მანდატების კუთხით მთელ რიგ პასუხისმგებელ ორგანოებს, თუმცა, კანონის მიზნებთან შესაბამისობის დადგენის გარეშე. საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების საკითხი რეგულირდება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>24</sup> და „ელექტრონული დოკუმენტების და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>25</sup>.

ინსტიტუციურად, შემდეგი უწყებები არიან უფლებამოსილნი იმოქმედონ სტრატეგიულ ან ოპერატიულ დონეზე და განახორციელონ ზედამხედველობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კანონმდებლობის შესრულებაზე: იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ციფრული მმართველობის სააგენტო (შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე<sup>26</sup>).

20. საქართველოს პარლამენტი, 2013 წლის 26 დეკემბრის დადგენილება N1888-რს, [https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg\\_no=IV-15&chapter=4&clang=\\_en](https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IV-15&chapter=4&clang=_en)

21. IDFI, 2015

22. შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი (ქართულად) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5173211?publication=0>

23. საქართველოს კანონი შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, <https://matsne.gov.ge/en/document/view/4923984?publication=0>

24. საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, <https://matsne.gov.ge/en/document/view/29620?publication=40>

25. საქართველოს კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ, <https://matsne.gov.ge/en/document/view/3654557?publication=0>

26. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ, <https://matsne.gov.ge/en/document/view/4893222?publication=0>

სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში კონკრეტულად ხაზგასმულია საჯარო სივრცეებში მისაწვდომობის და საინფორმაციო და სპეციალიზებული სერვისების ნაკლებობის შესახებ - ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ასევე ციფრულ სფეროს<sup>27,28</sup>. შშმ პირთა უფლებების დაცვისკენ მიმართული სამართლებრივი გარანტიების მიუხედავად, თემის გამონვევები გადაუჭრელი რჩება. ამასთან, თემი დიდწილად უხილავი რჩება ქართულ საზოგადოებაში, ასევე, ხშირად მარგინალიზებული ან დისკრიმინირებულია<sup>29,30</sup>. აქედან გამომდინარე, საჭიროა პრიორიტეტული იყოს ეროვნული რეგულაციების, სტანდარტების, მმართველობისა და შესაბამისობის დამდგენი მექანიზმების შემუშავება. ანალოგიურად საჭიროა ეროვნული მისაწვდომობის მათ შორის კომუნიკაციებსა და ინფორმაციის მისაწვდომობასთან დაკავშირებით, გეგმების შემუშავება, რომელმაც ასევე უნდა განსაზღვროს სანქციები და უზრუნველყოს მონიტორინგი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

---

27. საქართველოს სახალხო დამცველი (2018)

28. UNDP (2019გ)

29. UNDP (2019ა)

30. UNDP (2019ბ)

## 3. სართავორისო სავკათასო ვრავტია

### 3.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირობის უფლებების შესახებ კონვენცია და ვებ მისაწვდომობა

მისაწვდომობის სტანდარტები და CRPD (ან ექვივალენტი) პირველად სამართლებრივ დონეზე კანადაში (1980) და აშშ-ში (1990) დაინერგა. დღეის მდგომარეობით, სულ მცირე 40 ქვეყანას აქვს კანონმდებლობა, რომელიც ვებ მისაწვდომობას და კონკრეტულად W3C WCAG სტანდარტებს აწესებს, თუმცა, ქვეყანათა უმრავლესობას შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენცია ან ვებ მისაწვდომობა მხოლოდ ნაწილობრივ აქვს დანერგილი. შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენცია და მისი ფაკულტატიური ოქმი (A/RES/61/106) მიღებულია 2006 წელს. კონვენციის 43-ე მუხლში ხაზგასმულია, რომ კონვენციის რატიფიცირებით თითოეული მონაწილე სახელმწიფო თანახმაა, შეასრულოს კონვენციით გათვალისწინებული დებულებები. თუმცა, კონვენციის დებულებებთან შესაბამისობა მაინც გამოწვევას წარმოადგენს. ამჟამად ყველა განვითარებულ ქვეყანაში გარკვეულ დონემდე დანერგილია ონლაინ რეჟიმში ვებ მისაწვდომობის სტანდარტები<sup>31</sup>.

რაც შეეხება ევროპულ ქვეყნებს, ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს კონვენცია და ისინიც, საქართველოს მსგავსად, შებოჭილნი არიან კონვენციის დებულებებით. ევროკავშირი ოფიციალურად 2010 წელს შეუერთდა კონვენციას. ევროკავშირში განწვერიანების მსურველ კანდიდატ ქვეყნებს (ალბანეთი, ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა, მონტენეგრო, სერბეთი და თურქეთი) ყველას რატიფიცირებული აქვს კონვენცია, როგორც ევროკავშირის წევრად მიღების წინარე პროცესის ნაწილი. რაც შეეხება ფაკულტატიურ ოქმს, 2020 წლის მდგომარეობით, ევროკავშირის 22 წევრმა და ოთხმა (4) კანდიდატმა ქვეყანამ მოახდინა მისი რატიფიცირება ან მიუერთდა მას. მხოლოდ ალბანეთი (კანდიდატი ქვეყანა), ბულგარეთი, ჩეხეთი, ირლანდია, ნიდერლანდები, პოლონეთი და რუმინეთი არ არიან ფაკულტატიური ოქმის წევრი სახელმწიფოები.

კონვენციის სამი კონკრეტული ნორმა არის რელევანტური ტექნოლოგიასა და ვებ მისაწვდომობასთან დაკავშირებით:

- მისაწვდომობა და კონკრეტულად საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) და ვებ მისაწვდომობა;
- დამოუკიდებელი ცხოვრება, კონკრეტულად სოციალური სერვისების ხარისხი, და;
- დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა ბინაზე.

31. კანონმდებლობა და პოლიტიკის დოკუმენტები ვებ მისაწვდომობის შესახებ, <https://www.w3.org/WAI/policies/>

## საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) და ვებ მისაწვდომობა

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ციფრული შინაარსის მისაწვდომობისა და გამოყენებადობის უზრუნველყოფა კონვენციის მე-9 (1) (ბ) მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას წარმოადგენს<sup>32</sup>. აღნიშნული მიზნად ისახავს, შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირების საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, ონლაინ ინფორმაციასა და სერვისებზე სხვებთან თანაბარ პირობებში წვდომის უზრუნველყოფას<sup>33</sup>. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ამ კონტექსტში გამოიყენება როგორც ქოლგა ტერმინი, რომელიც მოიცავს ნებისმიერ საინფორმაციო ან საკომუნიკაციო საშუალებას, პროგრამასა და შინაარსს, რომელზე დაშვებაც ხდება აღნიშნული მოწყობილობების ან აპლიკაციების მეშვეობით ან რომელიც ამ მოწყობილობებსა და აპლიკაციებზე იწახება<sup>34</sup>. იგი ასევე მოიცავს ტელევიზორს, რადიოს, მობილურ ტელეფონს, კომპიუტერს, ფიქსირებულ ხაზებს, ქსელის აპარატურასა და პროგრამულ უზრუნველყოფას. აღნიშნული ხაზს უსვამს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ვებ მისაწვდომობის მნიშვნელობას, რომელიც წარმოადგენს ინსტრუმენტს სერვისების ფართო სპექტრზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, არსებული სერვისების გარდაქმნისა და ინფორმაციის მისაწვდომობაზე უფრო დიდი მოთხოვნის შესაქმნელად<sup>35</sup>.

კონვენცია ასევე მიუთითებს, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ფართო საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ყველასთვის მისაწვდომი უნდა იყოს. საყოველთაო მისაწვდომობის მოთხოვნა ვრცელდება საჯარო ხელისუფლების და ასევე კერძო დაწესებულებების ყველა გადაწყვეტილებასა და შინაარსზე. აღნიშნული გულისხმობს, რომ ინფორმაცია, მაგალითად როგორც ვიზუალური ფორმით წარმოდგენილი სამოგზაურო ინფორმაცია ავტობუსებზე ან მატარებლებზე, თანაბრად უნდა იყოს მისაწვდომი შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებისთვის<sup>36</sup>. აღნიშნული ასევე მიუთითებს ხელისუფლების როლზე დანერგოს შესაბამისი რეგულაციები და მაკონტროლებელი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ახლად წარმოებულ საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებით (იქნება ეს ფიზიკური თუ ციფრული) არსებული ბარიერების გამოვლენას და აღმოფხვრას<sup>37</sup>. თუ მისაწვდომობა არ არის უზრუნველყოფილი, აღნიშნული წარმოადგენს მისაწვდომობაზე არსებითად უარის თქმას და ასევე დისკრიმინაციულ ქმედებას, როგორც სერვისის მიმწოდებლის, ასევე სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც შესაბამისობის დადგენაზე ეკისრება პასუხისმგებლობა<sup>38</sup>.

32. კონვენციის მუხლი 9 (1)(ბ) <https://www.un.org/development/desa/disabilities/convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities/article-9-accessibility.html>

33. კონვენციის მუხლი 9 (1)(ბ) <https://www.un.org/development/desa/disabilities/convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities/article-9-accessibility.html>

34. კომიტეტის ზოგადი კომენტარი 2 მისაწვდომობის შესახებ.

35. კომიტეტის ზოგადი კომენტარი 2 მისაწვდომობის შესახებ.

36. ინდივიდუალური კომუნიკაცია # 21/2014 <http://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx?enc=6QkG1d%2fPPRiCAqHk7yhsnqj%2fNK47OYUsZoEcumKQlrvaiK38rcsG2KL1EmVRNVk7RaohiU57y67j93mP07IaC6UxkjFDQsOfuMjv2hpCH%2b3vAlHthqpcDYpdNYfc3DzBHoRNmP9cB7EgC6ewwDZw%3d%3d>

37. კონვენციის მუხლი 9 <https://www.ohchr.org/EN/HRBodies/CRPD/Pages/ConventionRightsPersonsWithDisabilities.aspx#9> და ზოგადი კომენტარი #2 General Comment no. 2 [https://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD/C/GC/2&Lang=en](https://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD/C/GC/2&Lang=en)

38. ზოგადი კომენტარი 2, ამასთან, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე მისაწვდომობაზე უარის თქმა წარმოადგენს დისკრიმინაციულ ქმედებას, რომელიც კონვენციის მე-5 მუხლით (დისკრიმინაციის აკრძალვა) აკრძალულ ქმედებას წარმოადგენს.

კონვენცია ხაზს უსვამს მთავრობის პასუხისმგებლობას, კონსულტაცია გაიაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან პირდაპირ, ან მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით, და საჯარო დაწესებულებებთან, რათა სადაც საჭიროა უზრუნველყოს წვდომა ყველა შესაბამის ინფორმაციაზე მისაწვდომი ციფრული ფორმატებით და გონივრული მისადაგების გათვალისწინებით<sup>39</sup>. მთავრობას, საჯარო და კერძო სერვის პროვაიდერებს გააჩნიათ უპირობო ვალდებულება, უზრუნველყონ მისაწვდომობა და არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზედმეტი ტვირთის დაკისრების უფლება მიუხედავად იმისა, ეს ეხება ფიზიკურ და ვირტუალურ საშუალებებს თუ ფიზიკურ და ციფრულ პროდუქტებსა და სერვისებს<sup>40,41</sup>.

ევროპულ კონტექსტში, კონვენციის რატიფიკაციას მთელი რიგი დირექტივების მიღება მოჰყვა, რომლებიც რელევანტურია როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, ასევე კანდიდატი ქვეყნებისთვის. ევროპული მარეგულირებელი ჩარჩო შედგება ურთიერთდაკავშირებული და შემავსებელი სამართლებრივი და მარეგულირებელი ელემენტებისა და სტანდარტებისაგან. აღნიშნული მოიცავს ინტერნეტ და სატელეკომუნიკაციო ქსელებს და ტერმინალებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორისთვის<sup>42</sup>. აღნიშნული ასევე არეგულირებს ძირითადი პროდუქტებისა და სერვისების მისაწვდომობას შიდა ბაზარზე, როგორცაა კომპიუტერები, სმარტფონები, პლანშეტები, ტელევიზორები, ბანკომატები და საბანკო სერვისები, გადახდის ტერმინალები და ბილეთების აპარატები, ელექტრონული წიგნები და ელექტრო საკითხავი, ელექტრონული კომერციული ვებსაიტები, აპლიკაციები და ციფრული ონლაინ სერვისები<sup>43</sup>. აღნიშნული დირექტივები არსებითად ადგენენ წესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ, სხვებთან თანაბარ პირობებში, ისეთ ელექტრონულ კომუნიკაციებზე წვდომის უზრუნველსაყოფად, როგორცაა სატელეფონო ქსელი, ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა, ამავდროულად, უზრუნველყოფენ რადიო და სატელეკომუნიკაციო ტერმინალის მოწყობილობების დიზაინის იმგვარ შესაბამისობას, რომ შშმ პირებმა შეძლონ ამ მოწყობილობების გამოყენება მინიმალური ადაპტაციით ან მის გარეშე<sup>44</sup>. ევროკომისია უფლებამოსილია, გადაწყვიტოს, თუ რა ტიპის და ფორმის აპარატურა უნდა შეიქმნას, რათა ხელი შეუწყოს შშმ პირთა მხრიდან მათ გამოყენებას. თუმცა, კომისიას აღნიშნული უფლებამოსილება პრაქტიკაში არასდროს გამოუყენებია<sup>45</sup>.

39. კონვენციის მე-7 მუხლი და კომიტეტის ზოგადი კომენტარი #7 <https://www.ohchr.org/EN/HRBodies/CRPD/Pages/ConventionRightsPersonsWithDisabilities.aspx#4>

40. ბულგარეთთან დაკავშირებით კომიტეტის მიერ მიღებული დასკვნითი მოსაზრებები (CRPD/C/BGR/CO/1) [https://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD%2fC%2fBGR%2fCO%2f1&Lang=en](https://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD%2fC%2fBGR%2fCO%2f1&Lang=en)

41. ევროკავშირის დირექტივა 2016/12 საჯარო სექტორის ვებ მისაწვდომობის შესახებ <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2016/2102/oj>

42. ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსი (დირექტივა 2018/1972) <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32018L1972&from=EN>

43. შენიშვნა: ეს ვალდებულებები სავალდებულო გახდება პროდუქტებისა და მომსახურების მიმწოდებლებისთვის 2025 წლის 28 ივნისიდან.

44. დირექტივა 1999/5 (R&TTE დირექტივა) <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A31999L0005>

45. დირექტივა 1999/5 (R&TTE დირექტივა) <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A31999L0005>

ონლაინ შინაარსისა და სერვისების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ელექტრონული კომუნიკაციების პაკეტი მოიცავს ვებ მისაწვდომობასთან დაკავშირებულ რამდენიმე ასპექტს<sup>46</sup>. სპეციალური კანონმდებლობა და სტანდარტებია დადგენილი აუდიოვიზუალური მედიის შინაარსისთვის (მათ შორის გადაუდებელი დახმარების სამსახურებისათვის)<sup>47</sup>, საჯარო<sup>48</sup> და კერძო სექტორის ინფორმაციასა და სერვისებზე ვებ მისაწვდომობისათვის, ასევე შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის გასაჩივრების მექანიზმებისთვის<sup>49,50</sup>. საჯარო სექტორისთვის აღნიშნული გულისხმობს, რომ ყველა ონლაინ შინაარსი, ვებგვერდი, აპლიკაცია და ონლაინ სერვისი მისაწვდომია შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის და რომ: ონლაინ შინაარსი განუწყვეტლივ და პროგრესულად უფრო მისაწვდომი ხდება ყველა ინდივიდისთვის და შშმ პირისთვის. კერძოდ, ონლაინ შინაარსი არის აღქმადი, ოპერატიული, გასაგები და სათანადო. საჯარო სექტორი ვალდებულია, უზრუნველყოს პროცესის მონიტორინგი და შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის შექმნას მექანიზმი, დირექტივით განსაზღვრული სერვისის მიღებისას მისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საჩივრების წარდგენის მიზნით<sup>51, 52, 53, 54</sup>.

ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩოს მიზანია არა მხოლოდ შებენიანი შესაძლებლობის მქონე მომხმარებლებისათვის მოწყობილობებს, ქსელებსა და სერვისებს შორის კავშირისა და თავსებადობის სრულად უზრუნველყოფა<sup>55</sup>, არამედ მომხმარებელთა დაცვის ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად მისაწვდომობის ეკვივალენტობის უზრუნველყოფა. სერვისების ვებ მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ევროპული სტანდარტების გამოყენება<sup>56</sup> ხაზგასმულია მარეგულირებელ ჩარჩოებში, რაც გულისხმობს ელექტრონული საკომუნიკაციო სერვისების მიწოდებას და მათ უზრუნველსაყოფად გამოყენებულ ტერმინალურ მოწყობილობებს (ამჟამად მოცულია R & TTE დირექტივით) და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების გამოყენების წესებს უნივერსალური მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად<sup>57</sup>.

- 
46. ელექტრონული კომუნიკაციების პაკეტი შედგება 6 დირექტივისა და 1 რეგულაციისგან, რომელთაგან დირექტივა 2002/21 <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2002:108:0033:0050:EN:PDF> და დირექტივა 2002/22 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32002L0022> შეიცავს კონკრეტულ დებულებებს შებენიანი შესაძლებლობასთან დაკავშირებით.
47. დირექტივა 2018/1808 შესწორებული აუდიო-ვიზუალური მედია სერვისების შესახებ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32018L1808&qid=1544013412694&from=EN>
48. დირექტივა 2016/2102 საჯარო სექტორის ვებსაიტების და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L\\_.2016.327.01.0001.01.ENG&toc=OJ:L:2016:327:TOC](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2016.327.01.0001.01.ENG&toc=OJ:L:2016:327:TOC)
49. 2019 წლის ევროპის მისაწვდომობის აქტი (2019/882/EU) [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L\\_.2019.151.01.0070.01.ENG&toc=OJ:L:2019:151:TOC](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2019.151.01.0070.01.ENG&toc=OJ:L:2019:151:TOC)
50. დირექტივა „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:337:0011:036:En:PDF>
51. დირექტივა 2018/1808 შესწორებული აუდიო-ვიზუალური მედია სერვისების შესახებ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32018L1808&qid=1544013412694&from=EN>
52. 2019 წლის ევროპის მისაწვდომობის აქტი (2019/882/EU) [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L\\_.2019.151.01.0070.01.ENG&toc=OJ:L:2019:151:TOC](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2019.151.01.0070.01.ENG&toc=OJ:L:2019:151:TOC)
53. დირექტივა „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:337:0011:036:En:PDF>
54. საბჭოს გადაწყვეტილება (ევროკავშირი) 2018/254 ევროკავშირის სახელით მარაკეშის ხელშეკრულების დადების შესახებ, რათა ხელი შეუწყოს გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე მხედველობის არ მქონე, შებენიანი მხედველობის ან სხვა სახის მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთა მისაწვდომობას <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32018D0254&from=EN>
55. დირექტივა „უკეთესი რეგულირებისთვის“ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:337:0037:0069:EN:PDF>
56. ევროპული სტანდარტები ICT პროდუქტებსა და სერვისებზე მისაწვდომობის მოთხოვნების შესახებ [https://www.etsi.org/deliver/etsi\\_en/301500\\_301599/301549/01.01.01\\_60/en\\_301549v010101p.pdf](https://www.etsi.org/deliver/etsi_en/301500_301599/301549/01.01.01_60/en_301549v010101p.pdf)
57. დირექტივა „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:337:0011:036:En:PDF>



ვებ მისაწვდომობაზე კონკრეტული მითითებით, კონვენციის რატიფიკაციას უნდა მოჰყვეს პოლიტიკის დოკუმენტების და ინიციატივების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს WCAG AA სტანდარტის შესაბამისად ონლაინ შინაარსის, ვებსაიტების, აპლიკაციებისა და ელექტრონული სერვისებისთვის მინიმალური გამოყენებადობის დონისა და ვებ მისაწვდომობის. ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებში მიღებულ იქნა სხვადასხვა დირექტივები შესაბამისობის დადგენის უზრუნველსაყოფად და ასევე, გაძლიერდა ევროკომისიის მანდატი ცალკეული ქვეყნების მიერ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

## დამოუკიდებელი ცხოვრება და სოციალური სუხვისების ხაიხსი

დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების შესახებ კონვენციის მე-19 მუხლი<sup>58</sup> ითვალისწინებს, რომ მთავრობამ და საჯარო უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ყველა ფიზიკური და ციფრული საშუალებისა და სერვისის მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და მათ საჭიროებებზე მორგება.

კონვენციის მე-20 მუხლი ინდივიდუალური მობილურობის<sup>59</sup> შესახებ მოითხოვს, რომ საჯარო სექტორმა გაატაროს ეფექტური ზომები ინდივიდუალური მობილურობის უზრუნველსაყოფად, რაც შესაძლებელს გახდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალურ დამოუკიდებლობას და დამოუკიდებელ ცხოვრებას. აღნიშნული მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური მობილურობის ხელშეწყობას მათ მიერ არჩეული საშუალებითა და დროში, და მათთვის ხელმისაწვდომად. რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ფინანსურად ხელმისაწვდომი იყოს გადაადგილების საშუალებები, მოწყობილობები, დამხმარე ტექნოლოგიები, ასევე დამხმარეები და შუამავლები, მათ შორის სახელისუფლებო. ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს ტრენინგის ჩატარება მობილურობის უნარ-ჩვევების სწავლებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათთან მომუშავე სპეციალისტებისთვის. აღნიშნული ასევე მოიაზრებს, რომ სერვისები მისაწვდომი უნდა იყოს უსაფრთხო ფიზიკურ და გეოგრაფიულ არეალში და ქალაქსა და სოფელში მცხოვრები ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხარისხის სტანდარტული დონის და ასევე, სქესის, ასაკისა და კულტურის გათვალისწინებით<sup>60</sup>.

ვებ მისაწვდომობასთან დაკავშირებით, კონვენციის რატიფიკაციას უნდა მოჰყვეს კონკრეტული პოლიტიკის დოკუმენტების და ინიციატივების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის არხების შექმნას იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ეს მოიცავს ალტერნატიული მომსახურების პუნქტებს, და ასევე იმის უზრუნველყოფას, რომ ონლაინ შინაარსს, ვებსაიტებს, აპლიკაციებსა და ელექტრონულ სერვისებს ჰქონდეთ WCAG AA სტანდარტით განსაზღვრული გამოყენებადობისა და ვებ მისაწვდომობის მინიმალური დონე. აღნიშნულის უზრუნველყოფით, შშმ პირებს შეეძლებათ დამხმარე ინსტრუმენტებით და მოწყობილობებით ონლაინ სარგებლობა.

58. კონვენცია, მუხლი 19 (გ) <https://www.un.org/development/desa/disabilities/convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities/article-19-living-independently-and-being-included-in-the-community.html>

59. კონვენცია, მუხლი 20 <https://www.un.org/development/desa/disabilities/convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities/article-20-personal-mobility.html>

60. კომიტეტის ზოგადი კომენტარი #5 დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ჩართვის შესახებ.

## დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა ბინაზე

CRPD-ის მე-19 მუხლი ადგენს<sup>61</sup>, რომ მთავრობამ და საჯარო უწყებებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ბინაზე და სხვა სახის სათემო დახმარების სერვისების მისაწვდომობა. აღნიშნული მოიცავს საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობის ინდივიდუალურ დამხმარე პირით უზრუნველყოფას დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისთვის. აღნიშნულის მიზანია საზოგადოებისგან იზოლაციის ან სეგრეგაციის პრევენცია. დამხმარე სერვისები ბინაზე შეიძლება მოიცავდეს მაგალითად, პერსონალურ ასისტენტს, დამხმარე მოწყობილობებს და ტექნოლოგიებს<sup>62</sup>.

ასეთი დამხმარე სერვისები უნდა იყოს ხელშესახები, მისაწვდომი, მისაღები და ადაპტირებადი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისთვის. ასეთი დამხმარე სერვისები უნდა ითვალისწინებდეს არსებულ გარემოებებს, მაგალითად, სხვადასხვა საცხოვრებელ პირობებს, როგორცაა ინდივიდუალური ან ოჯახის შემოსავალი, და ინდივიდუალური გარემოებებს, როგორცაა სქესი, ასაკი, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობა და ენობრივი, რელიგიური, სექსუალური და/ან გენდერული იდენტობა<sup>63</sup>. კომიტეტმა თავის ერთ-ერთ მოსაზრებაში, გამოთქვა შეშფოთება სახელმწიფოს მიერ შუამდგომლობისთვის პერსონალური დამხმარის ასაყვანად შეზღუდული ფინანსური დახმარების გამოყოფის გამო, რაც აუცილებელია მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის<sup>64</sup>.

რაც შეეხება ვებ მისაწვდომობას, კონვენციის რატიფიკაციას უნდა მოჰყვეს პოლიტიკის დოკუმენტების და ინიციატივების მიღება, რომელიც შუამდგომლობებს უზრუნველყოფს დამხმარე ინსტრუმენტებითა და სერვისებით, როგორცაა ეკრანის წამკითხველი, ხმამაღლა წამკითხველი პროგრამა და სხვა. აღნიშნული გაზრდის შუამდგომლობის დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხს და თავისუფლების გრძნობას.

## WCAG ვებ მისაწვდომობის სტანდარტი

WCAG სტანდარტი<sup>65</sup> პირველად 1999 წლის მაისში ამოქმედდა. W3C WCAG 2.1-ის ამჟამინდელმა ვერსიამ 2.1, რომელიც 2018 წლის ივნისში განახლდა, უშუალო გავლენა იქონია ვებგვერდების მისაწვდომობაზე. სტანდარტის შესაბამისად, კონკრეტული მოთხოვნები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ სად და ვისთან ერთად მუშაობს კონკრეტული ორგანიზაცია. მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ვებგვერდი, რომელიც ყველა ვიზიტორისთვის თანაბარ წვდომას არ უზრუნველყოფს, ექცევა ჯარიმებისა და სხვა სამართლებრივი სანქციების რისკის ქვეშ.

61. კონვენცია, მუხლი 19 (ბ)

62. კომიტეტის ზოგადი კომენტარი #5 დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ჩართვის შესახებ.

63. კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #5.

64. კომიტეტის მოსაზრებები მალტაზე, CRPD/C/MLT/CO/1.

65. WCAG სტანდარტი <https://www.w3.org/WAI/standards-guidelines/wcag/>



ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ ევროკავშირის დირექტივა<sup>66</sup> ავალდებულებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, დარწმუნდნენ, რომ მათი ვებსაიტები და მობილური აპლიკაციები აკმაყოფილებენ მისაწვდომობის საერთო სტანდარტებს. 2018 წლის 23 სექტემბრისთვის ევროკავშირის თითოეულმა წევრმა ქვეყანამ აღნიშნული დირექტივა მის შიდა კანონმდებლობაში ასახა.

დირექტივა მიუთითებს EN 301 549-ზე, როგორც სტანდარტზე, რომელიც უზრუნველყოფს ვებსაიტების და აპლიკაციების კანონთან შესაბამისობას. EN 301 549 არის ფუნქციონალური მისაწვდომობის მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც დაყოფილია თავებად, ხოლო ვებ შინაარსის შესახებ მე-9 თავი მიუთითებს WCAG დონე AA-ზე, როგორც სასურველ სტანდარტზე.

**დირექტივამ დაადგინა გრაფიკი, რა პერიოდშიც ახალ რეგულაციებთან შესაბამისობა უნდა მიღწეულიყო:**

- ახალი საჯარო სექტორის ვებგვერდები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო 2019 წლის 23 სექტემბრამდე;
- ყველა საჯარო სექტორის ვებგვერდი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო 2020 წლის 23 სექტემბრამდე;
- ყველა საჯარო სექტორის მობილური აპლიკაციები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო 2021 წლის 23 ივნისამდე.

იმისათვის, რომ შესაბამისობაში იყვნენ დირექტივასთან, ცალკეულ საჯარო დაწესებულებებს ევალუბათ მუდმივად გააკონტროლონ და განაახლონ თავიანთი ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობა, უზრუნველყონ მონიტორინგის შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობა და ანგარიშების მიწოდება ევროკავშირის შესაბამის წევრ სახელმწიფოში არსებული ცენტრალური საკოორდინაციო ორგანოსთვის. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, არაერთ ევროპულ საჯარო სექტორს მოუწია, გადაეხედა მისაწვდომობის სტრატეგიისთვის. საქართველოს გრძელვადიანი პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელიც ევროკავშირში განვერიანებას ისახავს მიზნად, დირექტივა და W3C WCAG სტანდარტი უნდა იყოს ნებისმიერი სამართლებრივი, მარეგულირებელი და პრაქტიკული ინიციატივის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ვებ მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

**3.2. გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის მოქედები**

ევროპამ და ჩრდილოეთ ამერიკამ ყველაზე ადრე დაიწყეს ტექნოლოგიების მიღება და განვითარება. 1990-იანი წლების ბოლოდან მათ წახალისეს მოქალაქეები, გამოეყენებინათ სამთავრობო ვებსაიტები და ონლაინ სერვისების შეთავაზებები. მიუხედავად ამისა, WCAG სტანდარტის, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებების და სამართლებრივი მოთხოვნების არსებობის მიუხედავად მომხმარებლის კეთილგანწყობა და ვებ მისაწვდომობა ყოველთვის არ არის სათანადოდ გარანტირებული.

66. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 26 ოქტომბრის 2016/2102 დირექტივა (ევროკავშირი) საჯარო სექტორის ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ

**ცხილი 1:** ონლაინ გამოყენებადობის შესახებ სახელმძღვანელოს მქონე ქვეყანათა ჰუკა, ჰომელიც მოიცავს ვებ მისაწვდომობას (წყარო: ავგოჩი, 2020)



ბევრმა ქვეყანამ უზრუნველყო W3C WCAG სახელმძღვანელო მითითებების ინკორპორირება ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში. თითქმის ყველა განვითარებულმა ქვეყანამ და ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ ამ ეტაპზე უზრუნველყო ონლაინ რეჟიმში ვებ მისაწვდომობის სტანდარტების გარკვეული დონე. სულ უფრო მეტი ქვეყანა იყენებს გამოყენებადობისა და ვებ მისაწვდომობის კომბინირებულ მიდგომას. სულ მცირე თორმეტ (12) ქვეყანას და რეგიონს გააჩნია გამოყენებადობის სახელმძღვანელო (იხილეთ სურათი 1). აღნიშნული ქვე-თავი მიმოიხილავს დანიის, პორტუგალიის, გაერთიანებული სამეფოს და აშშ-ს მიდგომებს.

დანია შეირჩა იმ დოკუმენტირებული მიღწევების გამო, რომელიც მას გააჩნია ვებ მისაწვდომობის შინაარსსა და მომხმარებლების და ბიზნესის წარმომადგენლების მიერ ონლაინ სერვისების გამოყენების მაღალ მაჩვენებელთან დაკავშირებით. დანია ამ სფეროში გლობალურ ლიდერს წარმოადგენს<sup>67, 68, 69, 70, 71, 72</sup>.

გაერთიანებული სამეფო შეირჩა სერვისის დიზაინისადმი არსებული მიდგომის გამო, რომლითაც ის ტენდენციის შემქმნელია და ინსპირაციაა ისეთი მრავალფეროვანი ქვეყნებისთვის, როგორებიცაა კანადა, მექსიკა, ახალი ზელანდია, კატარი, დანია და პო-

67. UNDESA, (2016)  
68. Toshio Obi (2016)  
69. Meyerhoff Nielsen and Yasouka (2014)  
70. Meyerhoff Nielsen (2017)  
71. Gallo et al. (2012)  
72. UNDESA (2018)

რტუგალია<sup>73, 74, 75</sup>. აშშ შეირჩა იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო დონეზე გამოყენებადობისა და ვებ მისაწვდომობის სტანდარტების ერთ-ერთი პირველი მიმღები ქვეყანაა<sup>76, 77</sup>. პორტუგალია შეირჩა როგორც ერთ-ერთი ის ქვეყანა, რომელმაც უახლეს პერიოდში შეიმუშავა ეროვნული გამოყენებადობის სახელმძღვანელო, რომელიც ასევე მოიცავს ვებ მისაწვდომობის საკითხებს.

გამოყენებადობის სახელმძღვანელოების საერთო მახასიათებლებია ფოკუსი განვითარების პროცესზე, მათ შორის შესყიდვებზე, იქნება ეს განხორციელებული შიდა თუ კერძო სექტორის ვენდორის მეშვეობით. საერთოა ასევე დიზაინის პრინციპებისა და კრიტერიუმების კლასტერების გამოყენება, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტულ ელემენტებს და მახასიათებლებს. აღნიშნული მოიცავს ენის გამოყენებას, რომელიც უნდა იყოს მოკლე, საკითხზე და ქმედებაზე ორიენტირებული, და სამართლებრივი ან ბიუროკრატიული ტერმინოლოგიისგან დაცლილი, მათ შორის შეცდომის შეტყობინებებში. ასევე საერთოა „შეხედე და იგრძენი“ ჩანართები, მათ შორის საერთო გრაფიკული დიზაინი, ნავიგაცია, წინაპირობები, მაგალითად, ტრანსაქციური სერვისის, მონაცემების შეტანის და მიღების სპეციფიკაციის დადასტურების სათანადო დასრულებისთვის. ასევე ყველა სახელმძღვანელოში მიმოხილულია ფუნქციონალობა, მათ შორის მოთხოვნები საპასუხო ვებ დიზაინსა და მონაცემების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, სამთავრობო რეესტრიდან არსებული მონაცემების ხელახალი გამოყენება, ერთჯერადი შესვლა და eID საჯარო ინფრასტრუქტურის გამოყენება, ციფრული პოსტის კომპონენტები, კავშირი და ეროვნულ პორტალებთან ინტეგრაცია, ინტეროპერატიულობის, კონფიდენციალურობის და მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან და კიბერუსაფრთხოებასთან შესაბამისობა. ვებ მისაწვდომობა ძირითადად მოქცეულია ფუნქციონალობის მოთხოვნის ქვეშ ან პრინციპებისა და კრიტერიუმების ცალკეულ კლასტერში, რომელიც პირდაპირ მიემართება WCAG AA სტანდარტს. მე-4 ცხრილი აჯამებს და აგუფებს დანიაში, პორტუგალიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში გამოყენებადობის სახელმძღვანელოში მოცემულ გამოყენებადობის პრინციპებსა და კრიტერიუმებს.

73. UNDESA (2016)  
 74. Toshio Obi (2016)  
 75. Gallo et al. (2012)  
 76. UNDESA (2008)  
 77. Obi (2012)

**ცხილი 4:** დანიის, პოლეთი, გაერთიანებული სამეფოს და აშშ-ს გამოყენებადობის სახელმძღვანელოებში ახსებული კრიტერიუმების კლასიფიკაცია (წყარო: ავგოი, 2020)

კრიტერიუმების კლასტერი	დანია	პორტუგალია	გაერთიანებული სამეფო	აშშ
განვითარების პროცესი	კი (ცალკე სახელმძღვანელო)	კი	კი	კი
გამოყენებული ენა	კი	არაპირდაპირ, ზოგადი მითითება	არაპირდაპირ	არაპირდაპირ, ზოგადი მითითება
შეხვედ და შეიგრძენი	კი	კი	კი	კი
ფუნქციონალობა	კი	კი	კი	კი
კომპონენტების ხელახალი გამოყენება	კი	ნაწილობრივ, მხოლოდ სახელმძღვანელოები	კი	ნაწილობრივ, მხოლოდ სახელმძღვანელოები
სტანდარტების ხელახალი გამოყენება	კი	ნაწილობრივ, მხოლოდ სახელმძღვანელოები	კი	ნაწილობრივ, მხოლოდ სახელმძღვანელოები
მონაცემთა ხელახალი გამოყენება	კი	არ არის მითითებული	კი	არ არის მითითებული
მონაცემების დამოუკიდებლობა	კი, და არაპირდაპირ მაგალითების და ინსტრუმენტარუმის მეშვეობით	კი	კი, და არაპირდაპირ მაგალითების და ინსტრუმენტარუმის მეშვეობით	კი
WCAG 2.0 AA	კი	კი	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
კრიტერიუმთა ჯგუფები	კი (ცალკე სახელმძღვანელო)	კი	კი	კი

გამოყენებადობის სახელმძღვანელოები ასევე განსხვავდება, განსაკუთრებით WCAG სტანდარტთან მიმართებაში. ზოგიერთი პირდაპირ მიუთითებს WCAG სტანდარტზე, ზოგი კი ირიბად, მაგრამ მოითხოვს ონლაინ გადაწყვეტებს სტილების ცხრილების, კოდის ან ძირითადი კომპონენტების ხელახალი გამოყენებისთვის, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს WCAG AA სტანდარტს. სხვა ვარიანტი მოიცავს ტესტირების დაწყებამდე მოთხოვნებს (მაგ. რეკომენდებული vs. სავალდებულო) ან თვითმფასების ინსტრუმენტების უზრუნველყოფას, როგორც მაგალითად, დანიის და პორტუგალის შემთხვევებშია. სპეციფიკაციის ზუსტი დონე ასევე განსხვავდება (მაგალითად, მინიმალური მისაღებობის კრიტერიუმები vs. პრინციპები), ისევე როგორც დაწყების შემდგომი პროცესები (მაგ. განახლების გა-

გრძელება, შემოწმება, სარგებლის რეალიზაცია) და გადაწყვეტების რეალური გამოყენების და გამოყენებადობის მონიტორინგის დონე. ანალოგიურად, გამოყენებადობის სახელმძღვანელოების გამოყენებისთვის გათვალისწინებული დამხმარე მახასიათებლები განსხვავდება. განვითარების პროცესი მოცულია ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად დანიის და გაერთიანებული სამეფოს, მაგალითებში, მაგრამ ყველა მათგანი ძირითადად მოიცავს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს, ინსტრუმენტარულ დეველოპერებისთვის, მათ შორის გამოყენებადობის სახელმძღვანელოების და WCAG AA სტანდარტის შესაბამის სტილების ცხრილებს და კოდებს ხელახალი გამოყენებისთვის. ცხრილი 5 აჯამებს დანიის, პორტუგალიის, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ს გამოყენებადობის სახელმძღვანელოებში ასახულ დამხმარე მახასიათებლებს.

**ცხრილი 5:** დანიის, პორტუგალიის, გაერთიანებული სამეფოს და აშშ-ს გამოყენებადობის სახელმძღვანელოებში მოცემული დამხმარე მახასიათებლების შეჯამება (წყარო: ავგოი, 2020)

	დანია	პორტუგალია	გაერთიანებული სამეფო	აშშ
<b>გამოყენების და გამოყენებადობის მონიტორინგი</b>	კი	არ არის მითითებული	კი	არ არის მითითებული
<b>მინიმალური მისაღების კრიტერიუმები</b>	დიახ, თითოეულ კრიტერიუმს აქვს მინიმალური მისაღების კრიტერიუმის კომპლექტი და ასევე თვითშეფასების ინსტრუმენტი	ნაწილობრივ მაგალითები ზოგადი თვითშეფასების ინსტრუმენტის საშუალებით	დიახ, თითოეულ კრიტერიუმს გააჩნია ალფა, ბეტა, მისაღები რეკომენდაციების ცოცხალი კომპლექტი	მითითება არ არის, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეხმარებიან როგორც გადამხდელ კლიენტს
<b>ტესტი</b>	კი	არანაირი ფორმალური ტესტი	კი	ნაწილობრივ, მხოლოდ კლიენტისთვის გადახდის შემთხვევაში
<b>მაგალითები</b>	კი, თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით	კი, თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით	კი, თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით	კი
<b>ინსტრუმენტარული</b>	კი, თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით	კი, თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით	კი, თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით	კი
<b>სტილების ცხრილი</b>	კი	კი	კი	კი

### 3.3. მმართველობის და შესაბამისობის მოდელები

წარმოდგენილი 4 ქვეყნის გამოყენებადობის მაგალითები განსაკუთრებით განსხვავდება შესაბამისობასთან მიმართებით მათი მიდგომისა და დაფარვის არეალის კუთხით. მე-7 ცხრილი აჯამებს დანიის, პორტუგალიის, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ს მიდგომებს მმართველობასთან, გამოყენებადობასა და WCAG-თან დაკავშირებით. დაფარვის არეალი განსხვავდება სამთავრობო დონის მიხედვით და უმრავლესობა აღნიშნულს სავალდებულოდ აწესებს ცენტრალური სამთავრობო გადაწყვეტებისთვის. მხოლოდ დანია მოიცავს რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე მმართველობის გადაწყვეტებს. ასევე განსხვავდება შესაბამისობა. ზოგადად, გამოყენებადობის სახელმძღვანელოები სავალდებულოა ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტებისთვის და რეკომენდებულია რეგიონული და ადგილობრივი მმართველობისთვის. ამ მიმართულებით ისევ დანია გამოირჩევა. შესაბამისობის დამდგენ მექანიზმებთან მიდგომის თვალსაზრისით ასევე განსხვავებული მიდგომა ფიქსირდება ამ 4 ქვეყანაში. გაერთიანებულ სამეფოში სავალდებულოა ცენტრალური მთავრობის ახალი გადაწყვეტის ფორმალური შემოწმება და მთავრობის ციფრული სერვისების (GDS) ხელმონერა. ანალოგიურად, GDS აქტიურად არის ჩართული ახალი გადაწყვეტების შემუშავებასა და ტესტირებაში. დანიაში, 2012-2015 წლების სტრატეგიულ პერიოდში დაფიქსირდა 80+ მაღალი სიხშირის, მაღალი მოცულობის მომსახურების გადაწყვეტების ტესტირება, სავალდებულო ძალის მინიჭებამდე მათი ხელახალი შემუშავების მიზნით. განახლებული და ახალი გადაწყვეტების შემდგომი ტესტირება გაგრძელდა შეთანხმებული სამოქმედო გეგმებით, რომლითაც პასუხისმგებელი უწყებები და მათი ვენდორები განისაზღვრა. 2016 წლიდან დანიური მიდგომა ორიენტირებულია, შემთხვევითობის პრინციპით, ადგილზე შემოწმებაზე და შემდგომ გეგმებზე. აშშ-ში F18 გუნდი უწევს დახმარებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის მიმღები ორგანო გადაიხდის F18 დახმარების საფასურს. პორტუგალიაში შესაბამისობის შემოწმება აშკარად არ ხორციელდება. მე-6 ცხრილი აჯამებს დანიის, პორტუგალიის, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ს მიდგომებს მმართველობასა და შესაბამისობასთან დაკავშირებით.

**ცხიდი 6:** დანიაში, პოხტუგალიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში გამოყენებადობის სახელმძღვანელოებსა და WCAG-თან დაკავშირებული მმართველობისა და შესაბამისობის მიდგომების შეჯამება (წყარო: ავტოხი, 2020)

	დანია	პორტუგალია	გაერთიანებული სამეფო	აშშ
<b>დაფარვის არეალი</b>	სავალდებულოა მთავრობის ყველა დონეზე და ყველა ვებსაიტისა და ელექტრონული სერვისისთვის	სავალდებულოა ეროვნული მთავრობის ვებსაიტებისა და ელექტრონული სერვისებისთვის. სხვებისთვის ნებაყოფლობითია	სავალდებულოა ეროვნული მთავრობის ვებსაიტებისა და ელექტრონული სერვისებისთვის. სხვებისთვის ნებაყოფლობითია	სავალდებულოა ეროვნული მთავრობის ვებსაიტებისა და ელექტრონული სერვისებისთვის. სხვებისთვის ნებაყოფლობითია
<b>შესაბამისობის მოდელი</b>	ეროვნული სტრატეგიები, სკრინინგი და მონიტორინგი. შეიძლება გადაეცეს ერთობლივ ეროვნულ პორტფელის კომიტეტს, რომელიც პასუხისმგებელია ელექტრონულ მმართველობაზე.	გაურკვეველია.	ეროვნული სტრატეგიები, სკრინინგი და პრაქტიკული განვითარება. შეიძლება გადაეცეს ეროვნულ ხელისუფლებას და კაბინეტის ოფისს	გაურკვეველია.

შესაბამისობისადმი მიდგომა ნაწილობრივ არის გამოყენებადობის სახელმძღვანელოებსა და WCAG სტანდარტთან მიმართებაში მანდატებისა და მართვის მიდგომის შედეგი. ოთხივე ქვეყანაში გამოყენებადობასა და ვებ მისაწვდომობას ზედამხედველობს IT, ტექნოლოგიისა და, ზოგადად, დიגיტალიზაციის მიმართულებით მომუშავე სპეციალიზებული სამთავრობო დაწესებულება უწევს. ცალკეული საჯარო სექტორის მომსახურების სუბიექტები პასუხისმგებელი არიან საკუთარი მომსახურების პორტფელზე. დანიასა და გაერთიანებულ სამეფოში სპეციალიზებულ დაწესებულებას აქვს საკმაოდ მკაფიო და ძლიერი მანდატი, რომ შეამოწმოს და უზრუნველყოს შესაბამისობა, თუ გამოყენებადობა და ვებ მისაწვდომობა არ არის სათანადოდ დანერგილი. იგი უფლებამოსილია არსებული სიტუაციის შესახებ წარდგინება განახორციელოს ელექტრონული მმართველობის სტრატეგიებისა და ციფრული ტრანსფორმაციის ერთობლივ ეროვნულ მმართველ კომიტეტებში. პორტუგალიასა და აშშ-ში ასეთი მანდატების არსებობა გაურკვეველია. მე-7 ცხრილი აჯამებს დანიაში, პორტუგალიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში გამოყენებადობასა და ვებ მისაწვდომობასთან დაკავშირებით მანდატებსა და მართვის მიდგომას.



**ცხილი 7:** დანიაში, პოჩტუგალიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში მანდატების და მათთვის გამოყენებადობის სახედმდღვანელოები და WCAG (2020)

	დანია	პორტუგალია	გაერთიანებული სამეფო	აშშ
<b>გამოყენებადობის სახელმძღვანელოსა და შესაბამისობის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანო</b>	DIGST – დანიის დიგიტალიზაციის სააგენტო, ოფისი borger.dk	AMA - ადმინისტრაციული მოდერნიზაციის სააგენტო	GDS – სამთავრობო ციფრული სერვისები	GSA – ზოგადი სერვისების ადმინისტრაცია
<b>მართვის მოდელი</b>	ერთობლივი და საერთო ინფრასტრუქტურის მოდელი. მთავრობათაშორისი საკუთრება, გამგეობა და დაფინანსების მოდელი: 40% ეროვნული მთავრობა, 20% რეგიონული მთავრობა, 40% ადგილობრივი მთავრობა. სავალდებულოა ყველა უწყებისთვის. პასუხისმგებელი სპეციალიზებული სააგენტო.	ერთი ორგანიზაციის საკუთრება, მაგრამ სავალდებულოა ყველა ეროვნული ხელისუფლებისათვის. პასუხისმგებელი სპეციალიზებული სააგენტო.	ერთობლივი და საერთო ინფრასტრუქტურის მოდელი. ერთი ორგანიზაციის საკუთრება, მაგრამ სავალდებულოა ყველა ეროვნული ხელისუფლებისათვის. პასუხისმგებელი სპეციალიზებული სააგენტო.	ერთი ორგანიზაციის საკუთრება, მაგრამ სავალდებულოა ყველა ეროვნული ხელისუფლებისათვის. პასუხისმგებელი სპეციალიზებული სააგენტო.

ვებ მისაწვდომობის მდგომარეობის შესაფასებლად ოთხივე ქვეყანაში ოთხი ეროვნული საიტი შეირჩა. ოთხივე ქვეყანაში ეროვნული პორტალები ძირითადად შეესაბამება გამოყენებადობის სტანდარტებს, თუმცა, რამდენიმე შეუსაბამო შემთხვევითი მაგალითი გამოვლინდა პორტუგალიისა და აშშ-ს შემთხვევაში. მე-8 ცხრილი აჭამებს პორტალის შინაარსის, პორტალის საიტის, ელექტრონული სერვისის შესაბამისობის საერთო დონეს.



**ცხილი 8:** დანიაში, პოხტუგალიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში გამოყენებადობის სახედმდღვანელოების გამოყენების შეჯამება (წყარო: ავგოხი, 2020)

	დანია	პორტუგალია	გაერთიანებული სამეფო	აშშ
ელექტრონული სერვისები და პორტალები შეესაბამება თუ არა ეროვნულ სახელმძღვანელოებს?	დიახ, პორტალები და ელექტრონული სერვისები მთავრობის ყველა დონეზე	დიახ, მაგრამ სპორადულად ელექტრონულ სერვისთან მიმართებაში	დიახ, პორტალი და ელექტრონული სერვისი ძირითადად ცენტრალური მთავრობის დონეზე	დიახ, მაგრამ ძირითადად ვებსაიტები და მხოლოდ სპორადულად
გამოყენებული ენა	კი	კი	კი	კი
პორტალსა და ელექტრონულ სერვისს შორის „შეხედუ და შეიგრძენი“ კავშირი	კი	კი, მაგრამ სპორადულად და მხოლოდ ეროვნული ელექტრონული სერვისის.	კი	სპორადული, ძირითადად ვებგვერდზე ორიენტირებული
ფუნქციონალობა	კი	კი	კი	კი
კომპონენტების ხელახალი გამოყენება (მაგალითად, eID, SSO, Post)	კი	ნაწილობრივ	კი	ნაწილობრივ
სტანდარტების ხელახალი გამოყენება	კი	კი	კი	კი
მონაცემების ხელახალი გამოყენება	კი	არ არის მითითება	კი	არ არის მითითება
მონაცემების დამოუკიდებლობა	კი	კი	კი	კი
WCAG 2.0 AA	კი, და ხელმისაწვდომი სტილების ცხრილები და კოდები შეესაბამება	კი, და ხელმისაწვდომი სტილების ცხრილები და კოდები შეესაბამება	არ არის მითითება, პრაქტიკაში ხელმისაწვდომი სტილების ცხრილები და კოდები შეესაბამება	არ არის მითითება, პრაქტიკაში ხელმისაწვდომი სტილების ცხრილები და კოდები შეესაბამება

ვებ მისაწვდომობის და WCAG 2.0 AA სტანდარტთან შესაბამისობის დონის შესაფასებლად, ოთხივე ქვეყანაში გამოყენებულ იქნა იგივე მეთოდოლოგია, რაც საქართველოს საიტების შესარჩევად. დანიაში, პორტუგალიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში შეფასებული საიტები მოიცავს ეროვნულ პორტალებს, ეროვნულ პარლამენტს, საზოგადოებრივ მაუწყებელს და დედაქალაქს. აღნიშნული ასევე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ვებ მისაწვდომობის მდგომარეობა შედარდეს საქართველოში არსებულ საიტუაციასთან. ოთხივე ქვეყანაში მისაწვდომობის შეფასების შედეგები შეჯამებულია მე-9 ცხრილში.

დანის შემთხვევაში, არჩეული ოთხი საიტიდან არც ერთი არ შეესაბამება ზოგად WCAG 2.0 AA-ს, CSS სტილების ცხრილს ან მარკირების სტანდარტებს. ზოგადად, დანის პარ-

ლაშქმენტის საიტის შესაბამისობის დონე ძალიან მაღალია და მხოლოდ ძალიან მცირედი შეცდომები ფიქსირდება.

მსგავსი სურათია პორტუგალიასთან მიმართებითაც, ანუ ოთხი შერჩეული საიტიდან არც ერთი არ შეესაბამება ზოგად WCAG 2.0 AA-ს, CSS სტილების ცხრილს ან მარკირების სტანდარტებს. ამასთან, შეცდომების და გაფრთხილებების რიცხვი გაცილებით უფრო მაღალია ვიდრე დანიის შემთხვევაში, განსაკუთრებით პორტუგალიის პარლამენტისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის საიტების შემთხვევაში.

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში, მხოლოდ ლონდონი შეესაბამება WCAG 2.0 AA სტანდარტს. CSS სტილების ცხრილი ან მარკირების სტანდარტები საჭიროებენ გაუმჯობესებას. ზოგადად, გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში შეცდომებისა და გაფრთხილებების რაოდენობა უფრო დაბალია ვიდრე დანიისა და პორტუგალიის შემთხვევაში. პორტუგალიის მსგავსად, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს და საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვთ გაუმჯობესების უდიდესი პოტენციალი.

აშშ-ს შემთხვევაში მხოლოდ ეროვნული პორტალი შეესაბამება WCAG 2.0 AA სტანდარტს. CSS სტილების ცხრილი ან მარკირების სტანდარტები საჭიროებენ გაუმჯობესებას. ზოგადად, ამერიკის შემთხვევაში შეცდომებისა და გაფრთხილებების რაოდენობა უფრო დაბალია ვიდრე დანიისა და პორტუგალიის შემთხვევაში, მაგრამ გაერთიანებულ სამეფოსთან შედარებით უფრო მაღალია. პორტუგალიისა და გაერთიანებული სამეფოს მსგავსად, აშშ-ს კონგრესს და საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვთ გაუმჯობესების უდიდესი პოტენციალი.

შედარებისთვის, ორივე - საქართველოს პარლამენტი და ეროვნული პორტალი, შეესაბამება WCAG 2.0 AA-ს და საერთო ჯამში, ორივე საიტი უკეთეს შეფასებას იმსახურებს (კერძოდ, აქვს ნაკლები შეცდომა და გაფრთხილება) ვიდრე კვლევის ფარგლებში შეფასებული საერთაშორისო მაგალითები. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და თბილისი დანიასთან, პორტუგალიასთან, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-თან შედარებით არსებითად უფრო დაბალ შეფასებას იმსახურებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული პორტალები და საზოგადოებრივი მაუწყებლები შედარებით უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დგანან WCAG-ის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად - ეროვნული პორტალები იმის გამო, რომ ისინი მასპინძლობენ ან/და აკავშირებენ სხვა სამთავრობო და არასამთავრობო პარტნიორების მიერ შემუშავებულ შინაარსსა და ელექტრონულ სერვისს. თავის მხრივ, საზოგადოებრივი მაუწყებლები ფლობენ დიდი მოცულობის შინაარსს, სურათებსა და აუდიო-ვიზუალურ შინაარსს, რომლის შესაბამისობაში მოყვანა უფრო რთულია. ანალოგიურად, ეროვნულ პარლამენტებს ხშირად ავინწყდებათ, უზრუნველყონ გამოქვეყნებული დიდი მოცულობის დოკუმენტების WCAG-თან სრული შესაბამისობა.

**ცხილი 9:** დანიაში, პოხტუგალიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში შეჩვენებული საჯარო სექტორის ვებგვერდების მარტივი WCAG ტესტის შედეგები (წყარო: ავტოი, 2020)

საიტის დასახელება	URL	მარტივი WCAG ტესტის შედეგი (2020 წლის 11 ნოემბერი)		
		WCAG 2.0 AA	CSS სტილების ცხრილი	მარკირება
<b>დანია</b>				
დანის მოქალაქეთა პორტალი	<a href="https://www.borger.dk/">https://www.borger.dk/</a>	არა, 2 გამოვლენილი პრობლემა	არა, 4 შეცდომა, 1789 გაფრთხილება	არა, 476 შეცდომა, 855 გაფრთხილება
დანის პარლამენტი	<a href="https://www.ft.dk/">https://www.ft.dk/</a>	არა, 795 გამოვლენილი პრობლემა	არა, 66 შეცდომა, 1441 გაფრთხილება	არა, 89 შეცდომა, 1 გაფრთხილება
დანის საზოგადოებრივი მაუწყებელი	<a href="https://www.dr.dk/">https://www.dr.dk/</a>	არა, 9 გამოვლენილი პრობლემა	არა, 58 შეცდომა, 651 გაფრთხილება	არა, 8 შეცდომა, 0 გაფრთხილება
კოპენჰაგენი	<a href="https://www.kk.dk/">https://www.kk.dk/</a>	არა, 4 გამოვლენილი პრობლემა	არა, 14 შეცდომა, 390 გაფრთხილება	არა, 3 შეცდომა, 19 გაფრთხილება
<b>პორტუგალია</b>				
პორტუგალიის პორტალი	<a href="https://eportugal.gov.pt/">https://eportugal.gov.pt/</a>	არა, 1 გამოვლენილი პრობლემა	არა, 85 შეცდომა, 2026 გაფრთხილება	არა, 11 შეცდომა, 32 გაფრთხილება
პორტუგალიის პარლამენტი	<a href="https://www.parlamento.pt/">https://www.parlamento.pt/</a>	არა, 473 გამოვლენილი პრობლემა	არა, 4 შეცდომა, 920 გაფრთხილება	არა, 72 შეცდომა, 53 გაფრთხილება
პორტუგალიის საზოგადოებრივი მაუწყებელი	<a href="https://www.rtp.pt/">https://www.rtp.pt/</a>	არა, 7 გამოვლენილი პრობლემა	არა, 67 შეცდომა, 281 გაფრთხილება	არა, 39 შეცდომა, 47 გაფრთხილება
ლისაბონი	<a href="https://www.lisboa.pt/">https://www.lisboa.pt/</a>	არა, 10 გამოვლენილი პრობლემა	არა, 29 შეცდომა, 419 გაფრთხილება	არა, 7 შეცდომა, 3 გაფრთხილება
<b>გაერთიანებული სამეფო</b>				
გაერთიანებული სამეფოს პორტალი	<a href="https://www.gov.uk/">https://www.gov.uk/</a>	არა, 3 გამოვლენილი პრობლემა	არა, 11 შეცდომა, 764 გაფრთხილება	არა, 21 შეცდომა, 11 გაფრთხილება
გაერთიანებული სამეფოს პარლამენტი	<a href="https://www.parliament.uk/">https://www.parliament.uk/</a>	არა, 8 გამოვლენილი პრობლემა	არა, 5 შეცდომა, 550 გაფრთხილება	არა, 183 შეცდომა, 6 გაფრთხილება
გაერთიანებული სამეფოს საზოგადოებრივი მაუწყებელი	<a href="https://www.bbc.com/">https://www.bbc.com/</a>	არა, 4 გამოვლენილი პრობლემა	არა, 59 შეცდომა, 582 გაფრთხილება	არა, 245 შეცდომა, 33 გაფრთხილება
ლონდონი	<a href="https://www.london.gov.uk/">https://www.london.gov.uk/</a>	კი, 0 გამოვლენილი პრობლემა	არა, 6 შეცდომა, 1203 გაფრთხილება	არა, 2 შეცდომა, 29 გაფრთხილება
<b>აშშ</b>				
აშშ-ს პორტალი	<a href="https://www.usa.gov/">https://www.usa.gov/</a>	კი, 0 გამოვლენილი პრობლემა	არა, 12 შეცდომა, 277 გაფრთხილება	არა, 3 შეცდომა, 0 გაფრთხილება
აშშ-ს კონგრესი	<a href="https://www.congress.gov/">https://www.congress.gov/</a>	შეცდომა	არა, 28 შეცდომა, 1040 გაფრთხილება	არა, 37 შეცდომა, 13 გაფრთხილება
აშშ-ს საზოგადოებრივი მაუწყებელი	<a href="https://www.pbs.org/">https://www.pbs.org/</a>	არა, 5 გამოვლენილი პრობლემა	არა, 4 შეცდომა, 73 გაფრთხილება	არა, 236 შეცდომა, 41 გაფრთხილება
ვაშინგტონი	<a href="https://dc.gov/">https://dc.gov/</a>	არა, 1 გამოვლენილი პრობლემა	არა, 27 შეცდომა, 98 გაფრთხილება	არა, 56 შეცდომა, 29 გაფრთხილება

## 4. დასკვნითი რეკომენდაციები

დასკვნის სახით მოცემულია საქართველოს მიდგომისთვის რელევანტური რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის იმპლემენტაციას და შშმ პირებისთვის ვებ მისაწვდომობის გაუმჯობესებას. კერძოდ, საქართველომ უნდა:

1. მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი კომპონენტები და შეუსაბამოს ისინი EU-ს მიდგომას და WCAG სტანდარტს.
2. დანერგოს ყველა სახელმწიფო უწყებისთვის ონლაინ გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი, მათ შორის WCAG სტანდარტი, დონე AA.
3. მიიღოს მმართველობის და შესაბამისობის დამდგენი ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ონლაინ გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის გაუმჯობესებას. ამასთან, მნიშვნელოვანია განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს საჯარო სექტორის ონლაინ სერვისებზე.

### 4.1. რეკომენდებული CRPD და ვებ მისაწვდომობის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტები

რეკომენდებულია, რომ ნებისმიერი კანონმდებლობა, რომლის მიღებაც საქართველოში იგეგმება, შეესაბამებოდეს როგორც ვებსაიტებისა და მობილური პროგრამების მისაწვდომობის ოთხ პრინციპს, ასევე ონლაინ შინაარსს და ტრანსაქციულ ელექტრონულ სერვისებს - როგორც ეს ევროკავშირის 2016/2012 დირექტივითაა დადგენილი. კერძოდ:

- აღქმადობა, ანუ ინფორმაცია და მომხმარებლის ინტერფეისის კომპონენტები მომხმარებლისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი იმ ფორმით, როგორც ისინი აღიქმებიან;
- ოპერატიულობა, რაც ნიშნავს, რომ მომხმარებლის ინტერფეისის კომპონენტები და ნავიგაცია უნდა იყოს ოპერატიული და პრაქტიკული;
- გასაგებობა, ანუ ინფორმაცია და მომხმარებლის ინტერფეისის მოქმედება უნდა იყოს გასაგები, და;
- სიმტკიცე, ანუ შინაარსი უნდა იყოს საკმარისად მტკიცე და ძლიერი, რომ საიმედოდ იქნას განმარტებული მომხმარებელთა ფართე წრისთვის დამხმარე ტექნოლოგიების ჩათვლით.

**კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაციის ხელშესაწყობად, შემდეგი სამართლებრივი და მარეგულირებელი რეკომენდაციები უნდა იქნას გათვალისწინებული:**

1. საქართველომ მისი სამართლებრივი და მარეგულირებელი მიდგომა უნდა შეუსაბამოს EU-ს მიდგომას და ამ მიზნით, უნდა უზრუნველყოს დირექტივის (EU) 2016/2102 ასახვა მის ეროვნულ კანონმდებლობაში, საჯარო დაწესებულებების და ყველა არასაჯარო ორგანიზაციის ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ სპეციალური კანონის მიღების გზით (რეკომენდებულია), ან საჯარო დაწესებულებებისა და ყველა არასაჯარო ორგანიზაციის ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ რეგულაციის მიღების გზით. ტერმინი არასაჯარო ორგანიზაციები მიემართება ყველა ერთეულს, მათ შორის კერძო, არაკომერციულ და სხვა სახის კომპანიებს და ორგანიზაციებს.
2. საქართველომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ICT მოწყობილობა და გადაწყვეტა იყოს უნივერსალურად მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდვის არმქონე პირებისთვის, მათ შორის:
  - a. საჯარო სექტორის რეგულაციები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ელექტრონულ კომუნიკაციებზე შშმ პირთათვის თანაბარი მისაწვდომობა (მათ შორის არჩევანის და მისაწვდომობის კუთხით) უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებელთა უფლებების შესახებ ევროკავშირის დირექტივას (2209/136) და უნივერსალური მომსახურებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივას 2002/22 (საყოველთაო მომსახურების დირექტივა). ასევე, უნდა შეესაბამებოდეს შესწორებული აუდიოვიზუალური მედია სერვისების შესახებ დირექტივას 2018/1808 აუდიო-ვიზუალური მედია სერვისების პროვაიდერთან, მათ შორის გადაუდებელი დახმარების სამსახურებთან, დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.
  - b. საჯარო სექტორის რეგულაცია შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საჯარო სექტორის ორგანოების ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ ევროკავშირის დირექტივასთან 2016/2102, რომელიც არეგულირებს საჯარო სექტორის ონლაინ შინაარსს, ვებსაიტებს, აპლიკაციებს და ელექტრონული სერვისებს.
  - c. კერძო სექტორისთვის მიღებულ უნდა იქნეს სტანდარტი ICT პროდუქტებსა და მომსახურებაზე მისაწვდომობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელიც, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს ევროპის მისაწვდომობის აქტს (2019/882/EU) და ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსს (დირექტივა 2018/1972). პირველი დირექტივა, არეგულირებს საჯარო და კერძო სექტორში მისაწვდომობას ისეთ ძირითად პროდუქტებსა და სერვისებზე, როგორცაა კომპიუტერები, სმარტფონები, პლანშეტები, ტელევიზორები, ბანკომატები და საბანკო სერვისები, გადახდის ტერმინალები, ელექტრონული წიგნები და ელექტრო საკითხავი, ელექტრონული კომერციული ვებსაიტები, აპლი-

კაციები, ელექტრონული სერვისები და ბილეთების აპარატები. მეორე დირექტივა არეგულირებს ელექტრონულ კომუნიკაციებზე, როგორცაა სატელეფონო ქსელი, ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა, სხვებთან თანაბარ პირობებში მისაწვდომობის საკითხებს.

მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული ინიციატივა აისახოს საქართველოს მთავრობის და დიגיტიზაციაზე პასუხისმგებელი ერთეულის 2022 წლის სამუშაო პროგრამასა და შესაბამის სტრატეგიებში.

#### 4.2. **ჩეკონდებუდი გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი**

სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს გასაუმჯობესებლად, მიზანშეწონილია, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს და დანერგოს ონლაინ გამოყენებადობისა და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი. სტანდარტი უნდა შეიცავდეს:

1. რეკომენდაციას განვითარებამდელი დიზაინის პროცესის, განვითარების და შემდგომი განვითარების პროცესის შესახებ.
2. სავალდებულო მოთხოვნებს გამოსაყენებელი ენის, „შეხედე და შეიგრძენის“, ფუნქციონირების და ვებ მისაწვდომობის შესახებ (კერძოდ, WCAG AA).
3. დამხმარე ელემენტებს, როგორცაა მაგალითები, ხელახალი გამოყენების კოდი, სტილები, ცხრილები, თვითშეფასების ინსტრუმენტი და პასუხისმგებელი ორგანოს მხარდაჭერა.
4. შესაბამისობის დადგენისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მანდატის და პასუხისმგებლობის განსაზღვრას და დამტკიცებას. მიზანშეწონილია, რომ მანდატი და პასუხისმგებლობა დაეკისროს სამთავრობო უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის დიგიტიზაციაზე, კერძოდ ციფრული მმართველობის სააგენტოს (DGA). მნიშვნელოვანია, ამ უწყებას მხარს უჭერდეს მთავრობათაშორისი სამუშაო ჯგუფი და მმართველი კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მთავრობის, როგორცაა ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლება და სხვა წარმომადგენლებისგან.

მიზანშეწონილია დანიის მიდგომის მორგება ქართულ კონტექსტზე, რადგან აღნიშნული მიიჩნევა საერთაშორისო დონეზე კარგი პრაქტიკის მოდელად. სხვა საერთაშორისო კარგი პრაქტიკის საპირისპიროდ, დანიური მიდგომა მოიცავს მთავრობის ყველა დონეს (ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ), ვებსაიტებს, პროგრამებს და ტრანსაქციულ ონლაინ სერვისებს, მინიმალურ მისაღებობის კრიტერიუმებს, სახელმძღვანელოებს და ინსტრუმენტებს. ასევე რეკომენდებულია, რომ გამოყენებადობისა და ვებ მისაწვდომობის სახელმძღვანელოს საწყისი ქართული ვერსია, ან მინიმუმ ოთხ (4) წლიანი ეტაპი, (უნდა გაგრძელდეს 2021-2024 წლების ციფრული ტრანსფორმაციის მომავალი სტრატეგიის მიღებით) უნდა შეიცავდეს გაზომვად მინიმალურ მისაღებობის კრიტერიუმებს. შემდგომი



ვერსიები, ან მეორე ეტაპი, შესაძლოა, ეფუძნებოდეს გამოყენებადობის სახელმძღვანელო პრინციპებს, განსაკუთრებით WCAG სტანდარტებს. აღნიშნული უნდა დაეფუძნოს საქართველოში გამოყენებადობის სტანდარტებთან შესაბამისობის დონის შეფასებას. თუ შესაბამისობა დაბალია, პირველი ეტაპი უნდა გაგრძელდეს მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისის დიზაინის კულტურის ჩამოყალიბებამდე.

მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული წინადადებები აისახოს საქართველოს მთავრობის და დიგიტალიზაციაზე პასუხისმგებელი ერთეულის 2022 წლის სამუშაო პროგრამასა და შესაბამის სტრატეგიებში.

### 4.3. **რეკომენდებული მმართველობისა და შესაბამისობის დამდგენი ჩაჩჩო**

სამართლებრივ და მარეგულირებელ ჩარჩოსთან, გამოყენებადობასა და ვებ მისაწვდომობის სტანდარტთან შესაბამისობის ხელშესაწყობად, რეკომენდებულია საქართველოს მთავრობამ:

1. შექმნას ისეთი მანდატი და პასუხისმგებლობა, რომელიც განახორციელებს კონვენციასთან, ონლაინ გამოყენებადობასა და ვებ მისაწვდომობის სტანდარტთან (მათ შორის WCAG AA) შესაბამისობის მონიტორინგს, შეფასებას და აღსრულებას. რეკომენდებულია ასეთი მანდატი და პასუხისმგებლობა მიენიჭოს სამთავრობო უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის დიგიტალიზაციაზე, ამჟამად ასეთ უწყებას წარმოადგენს ციფრული მმართველობის სააგენტო.
2. მანდატი უნდა ითვალისწინებდეს სამოქმედო გეგმების სავალდებულო შემუშავებას, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს ის სამთავრობო უწყება, რომლის მიმართაც შეუსაბამობა დადგინდა. სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული უნდა იყოს ძირითადი ქმედებები და ვადები. ის უწყება, რომლის მიმართაც დადგინდა შეუსაბამობა, სრულად არის პასუხისმგებელი გამოსწორებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯზე.
3. მანდატის მინიჭებასთან ერთად შესაბამისი ბიუჯეტი უნდა გაეზარდოს მანდატის მქონე უწყებას.
4. მანდატის მქონე უწყებას უფლება უნდა ჰქონდეს, შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაზე ინფორმაცია წარადგინოს საქართველოს მთავრობის კაბინეტში და/ან ნებისმიერ ეროვნულ მმართველ კომიტეტში, რომელიც პასუხისმგებელია დიგიტალიზაციასა და შშმ პირთა მისაწვდომობაზე საქართველოში.
5. შექმნას ყოველწლიური შეფასების ციკლი ონლაინ სამთავრობო და ძირითადი კერძო სექტორის მომსახურების შეთავაზებებზე. წლიური შეფასებები უნდა იყოს უფრო ფართო და სიღრმისეული საწყისი ხუთი (5) წლის განმავლობაში, რათა გააუმჯობესოს შესაბამისობის დონე საქართველოში. წლიური შეფასების ანგარიში უნდა შეივსოს შშმ პირთა მიერ ვებ მისაწვდომობის შეფასებით, როგორც ეს დადგენილია საქართველოს მიერ კონვენციით ნაკისრ ვალდებულება(ებ)ში. წლიური შეფასების ანგარიშები უნდა იყოს სახალხო დამცველის ანგარიშების ციკლის შესაბამისი და მასთან დაკავშირებული.

მიზანშეწონილია დანიის მიდგომის მორგება ქართულ კონტექსტზე. კერძოდ, 5 წლიანი პირველადი ეტაპი უნდა ეფუძნებოდეს ყველა ძირითადი მაღალი სიხშირის, მაღალი მოცულობის სამთავრობო ვებსაიტების, აპლიკაციებისა და ელექტრონული სერვისების ვალიდურობის შემოწმებას (როგორც გამოყენებადობის, ასევე, ვებ მისაწვდომობის სტანდარტის მიხედვით). აღნიშნული ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს საჯარო სამსახურის მიერ შემუშავებული საჯარო მომსახურების ხარისხის ინდექსის ანგარიშგებასთან, რომელიც მოიცავს გამოყენებადობასა და ვებ მისაწვდომობასთან დაკავშირებით რელევანტურ კრიტერიუმებს. მეორე ეტაპი, როდესაც შესაბამისობა რეგულარულ შემთხვევას წარმოადგენს, შეიძლება, ეფუძნებოდეს გამოყენებადობის სახელმძღვანელო პრინციპების, განსაკუთრებით WCAG სტანდარტების, რეგულარულ ადგილზე შემოწმებას.

მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული წინადადებები აისახოს საქართველოს მთავრობის და დიგიტალიზაციაზე პასუხისმგებელი ერთეულის 2022 წლის სამუშაო პროგრამასა და შესაბამის სტრატეგიებში.



## გამოყენებული წყაროები

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის (2017). წერილი სათანადო საცხოვრებლის შესახებ გაეროს სპეციალურ მომხსენებელს საქართველოში შშმ პირთა საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის შესახებ, 15 მაისი 2017, ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 ნოემბერს. <https://www.ohchr.org/Documents/Issues/Housing/Disabilities/CivilSociety/CoalitionforIndependentLiving-Georgia.pdf>

Gallo, C., Giove, C., Millard, M., Kare, R., & Thaarup, V. (2012). ელექტრონული მმართველობის შესწავლა და ადმინისტრაციულობის შემცირება. <https://doi.org/10.2759/42896>.

IBRD / მსოფლიო ბანკი (2016). საქართველო: DIP-თვის სტატუსიდან საჭიროებებზე დაფუძნებულ დახმარებაზე გადასვლა - სიღარიბე და სოციალური ზემოქმედების ანალიზი, ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 ნოემბერს, <http://documents1.worldbank.org/curated/en/493981468030331770/pdf/IDP-PSIA-Georgia-revised-Feb-2016.pdf>

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (2019). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წარმატებების ხაზგასმა საქართველოში, ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 ნოემბერს, <https://www.ifes.org/news/highlighting-successes-women-disabilities-georgia>

IDFI – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (2015). შშმ პირთა სტატისტიკა საქართველოში (2015), ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 ნოემბერს, <https://idfi.ge/en/statistics-of-persons-with-disabilities>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2021). საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, <https://matsne.gov.ge/en/document/view/29620?publication=40>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 12 მაისს.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2021). საქართველოს კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ, <https://matsne.gov.ge/en/document/view/3654557?publication=0>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 12 მაისს.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2021). საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ, <https://matsne.gov.ge/en/document/view/4893222?publication=0>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 12 მაისს.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2021). საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, <https://matsne.gov.ge/en/document/view/4923984?publication=0>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 12 მაისს.

Meyerhoff Nielsen, M. (2017). 'E-Governance and Cooperation Models for Online Service Supply and Citizen Use: A Comparative Analysis of Denmark and Japan'. Edited by Q. Zhu and N. Edelmann. JeDEM - Journal of EDemocracy and Open Government, CeDEM Issue: Best Papers from CeDEM Asia 16 and CeDEM17 Conferences 9 (2): 68–107. <https://doi.org/10.29379/jedem.v9i2.487>.

Meyerhoff Nielsen, M. and Yasouka, M. (2014). 'An Analysis of the Danish Approach to EGovernment Benefit Realisation'. In Internet Technologies and Society 2014 Conference Proceedings, 47–58. New Jersey: IEEE.

Obi, T. ( 2012). 'WASEDA - IAC International e-Government Index'. Tokyo: Waseda University and IAC International Agency of CIO.

Obi, T.. (2016). 'WASEDA - IAC International e-Government Index'. Edited by Graduate School of Asia-Pacific Studies Toshio Obi Laboratory. Tokyo: Waseda University.

საქართველოს სახალხო დამცველი (2018). წლიური ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 ნოემბერს, <http://ombudsman.ge/res/docs/2019101108583612469.pdf>

**UNDESA** - გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი (2008). "ელექტრონული მმართველობის კვლევა 2008: ელექტრონული მმართველობიდან დაკავშირებულ მთავრობამდე". ნიუ იორკი: გაერო

**UNDESA** - გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი (2016). 'ელექტრონული მმართველობის კვლევა 2016: ელექტრონული მმართველობა მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად'. ნიუ იორკი: გაერო.

**UNDESA** - გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი (2018). „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელექტრონული მმართველობის კვლევა 2018: ელექტრონული მთავრობის განვითარება მდგრადი და ძლიერი საზოგადოების ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად“. ნიუ იორკი

**UNDP** - გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველო (2020). შშმ პირთა უფლებების დაცვა, ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 ნოემბერს, [https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/projects/persons\\_with\\_disabilities.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/projects/persons_with_disabilities.html)

**UNDP** - გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველო (2019ა). სამართლებრივი რეფორმების მიუხედავად, შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის ბარიერები კვლავ რჩება, ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 ნოემბერს, <https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/presscenter/pressreleases/2019/PwD-Day-2019.html>

**UNDP** - გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველო (2019ბ). საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელება, ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 ნოემბერს, <https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/publications/Georgia-human-rights-2019.html>

**UNDP** - გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველო (2019გ). საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მონიტორინგს ახორციელებს, ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 ნოემბერს, <https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/presscenter/pressreleases/2019/civil-society-to-monitor-UNCPRD.html>

**ვებ მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საქართველოში:**

ახსებული მდგომარეობა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა

UNICEF, საქართველო (2020), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 ნოემბერს, [https://www.unicef.org/georgia/topics/children-disabilities?items\\_per\\_page=25](https://www.unicef.org/georgia/topics/children-disabilities?items_per_page=25)

ვებ მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საქართველოში (2021).

მსოფიო ბანკი (2020), შშმ პირთა ინკლუზია, ბოლოს ნანახია 2020 წლის 10 ნოემბერს, <https://www.worldbank.org/en/topic/disability#:~:text=Results-,One%20billion%20people%2C%20or%2015%25%20of%20the%20world's%20population%2C,million%20people%2C%20experience%20significant%20disabilities.>

